# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 27 ნოემბერი, 2012 წელი.

№227 (7103)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## როგორი იქნება პრეზიდენტის ახალი უფლებამოსილებები?



3

წითელ კომისრებს და კომკავშირლებს, კანდელაკების და მინაშვილების სახით, პარპაშის საშუალება ევროასპარეზზე აღარ ექნებათ.

## დღევანდელი მდგომარეობა ენერგეტიკაში მხოლოდ კლანური მმართველობის გაგრძელებაა

4

## დევნილთა „შეჭრები“ ორგანიზებული იყო

5



## ხმები სააკაშვილის გადაჭარბებული ხელგაშლილობისა და თავქარიანობის შესახებ გადაჭარბებულია?!



6

## ელჩები ივანიშვილის წინააღმდეგ მუშაობენ

8

## აუცილებელია ენის პოლიცია!

7

## ახმეტაში სტალინის ძეგლი დააბრუნეს

6



## კარგად უნდა აიწონ-დაიწონოს

7

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

***ბიძინა ივანიშვილის** მედიასთან შეხვედრა ბევრისთვის კიდევ ერთი გულახდილობის დემონსტრირება იყო, ნაციონალებისთვის კი — „დემოკრატიისთვის საგანგაშო სიგნალი“, ან კიდევ „ქართული ოცნების“ სხვა მითების დამსხვრევის პრელუდიაც.*

*ფაქტი ერთია, რომ ბიძინა ივანიშვილმა წინამორბედ ხელისუფალთ არ მიბაძა, ცრუ დაპირებები არ გასცა და პრობლემებიც არ შეალამაზა. პირდაპირ თქვა, რომ გაზისა და ელექტროენერგიის ტარიფების განახევრება არ გამოვა და, როგორც ჩანს, ამის დაპირება გადაჭარბებული იყო. ისიც არ დაუმალავს, რომ იმედგაცრუებულია, რადგან სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის მიუხედავად, მოსკოვს ამის საპასუხოდ რაიმე ნაბიჯი არ გადაუდგამს...*

*რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილისეულ ძირითად აქცენტებს, ისინი შემდეგნაირად ჟღერდა: „ყველამ უნდა მიიღოს ის, რაც სამართლიანად ეკუთვნის — მათ შორის, ციხეც“; „ნაციონალური მოძრაობა არაპერსპექტიულია, ის საზოგადოებაში ძალიან კომპრომეტირებულია“; „პოლიტიკიდან მხოლოდ გამარჯვებული წავალ“; „თუ ეჭვები გაჩნდება დაპირებების შესრულებასთან დაკავშირებით, პოლიტიკიდან არ წავალ“; „საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკაა ამ არჩევნების შემდგომ“; „პრეზიდენტს ახალი უფლებამოვალეობით შევინარჩუნებთ“.*

*მედიასთან შეხვედრისას იმასაც მოეფინა ნათელი, რომ, როცა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვა, საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებს ძალიან ცუდი რეაქცია ჰქონდათ. პრემიერ-მინისტრს მათი ესმის და ადასტურებს, რომ მისი პარტია იმპიჩმენტის საკითხს არ დააყენებს. თუმცა, იმასაც კარგად ხედავს, რომ პროცესები მიმდინარეობს და არავის უნდა გაუკვირდეს, თუ პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი მაინც დადგება“.*

*ბიძინა ივანიშვილის ძირითადი გზავნილების შესახებ For.ge პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს ესაუბრა.*

# როგორი იქნება პრეზიდენტის ახალი უფლება-მოვალეობები?

ექსპერტ **გია ხუხაშვილის** აზრით, ბიძინა ივანიშვილის გამოსვლაში სწორი აქცენტები დაისვა და მთლიანობაში, საუბარი იყო ქვეყანაში სამართლიანობის დაბრუნებაზე ყველა მიმართულებით. ერთი მხრივ, ეს ეხება ქონებრივ საკითხებს, მეორე მხრივ, პოლიტიკურ დევნას, ხოლო მესამე გაგებით, — თავისუფალი სიტყვის დაბრუნებას ქვეყანაში და ა. შ.

რაც შეეხება პრეზიდენტის სამომავლო უფლებამოსილების განსაზღვრას, გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტს ისედაც შეკვეცილი აქვს ფრთები და რეალურად, დღეის მდგომარეობით, ის ვერ პრეზიდენტობს.

**„სად არის იგი? ჩანს, რომ ის ხელისუფლებაშია? არ ჩანს ისედაც, წვალობს ის კაცი და ბარემ, დავაკანონოთ მისი რეალური სტატუსი. რა არის ამაში ცუდი?“** — კითხულობს გია ხუხაშვილი.

ჩვენ დავინტერესდით, მაშინ რის საფუძველზე განაცხადა საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის ძლიერ პრეზიდენტთან თანაარსებობა მიუღებელია, რაზეც გია ხუხაშვილმა აღნიშნა: **„რომელ ძლიერ პრეზიდენტზე ლაპარაკობს, რომელიც რა მდგომარეობაშიცაა, ყოველდღიურად ვუყურებთ. რომელ ძლიერ პრეზიდენტზეა საუბარი, რომელსაც ლეგიტიმაცია დაკარგული აქვს და, ფაქტობრივად, პოლიტიკური დიაპაზონი აღარ აქვს დარჩენილი?!“**

ექსპერტის თქმით, ხალხმა პრეზიდენტი აირჩია ხუთი წლით და ახლა მთელი ეს რიტორიკა მიმართულია იქითკენ, რომ კონსტიტუციის გაუპატიურების შემდეგ პრეზიდენტს კიდევ ათი თვით გაუხანგრძლივეს თავისი ვადა. ამდენად, გია ხუხაშვილის აზრით, როდესაც კონსტიტუციური წესრიგის აღდგენაზე საუბრობს პრემიერ-მინისტრი და ამაზე ქალბატონი ჩიორა კომენტარებს აკეთებს, ეს ძალიან არასერიოზულია. **„თუმცა ჩიორას ამის უფლება აქვს“.**

ამასთან, ექსპერტი პროგნოზირებს, რომ იმ ფრაქციაში, სადაც ჩიორა თაქთაქიშვილია, სავარაუდოდ, ჩიორა მარტო დარჩება. ამდენად, კიდევ შეუძლია, გააგრძელოს ამ სტილში და იაქტიუროს.

**„იმ ფრაქციაში მე სხვა წევრებს ვერ ვხედავ სამომავლოდ“,** — აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

**„ბიძინა ივანიშვილის მედიასთან შეხვედრა არის ურთიერთობის ის ფორმა, რომელიც ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლისთანავე დაამკვიდრა და სოლოლაკში, თავის რეზიდენციაში პირველი შეხვედრა გამართა საზოგადოებასთან“,** — მიიჩნევს პარლამენტარი გია ცაგარეიშვილი.

მისი თქმით, მას შემდეგ ივანიშვილს მუდმივი ურთიერთობა ჰქონდა პრესასთან. მეტიც, იგი საკმაოდ კომუნიკაბელური ადამიანია, უყვარს პრესასთან ურთიერთობა და მართალი შეტყობინებების მიტანა საზოგადოების ყურამდე.

სამაგიეროდ, გია ცაგარეიშვილს არც კი ახსოვს ის დრო, სააკაშვილი ბოლოს როდის შეხვდა პრესას. მართალია, 2004-2005 წლებში ასეთი შეხვედრები იმართებოდა, მაგრამ დონაძეებისა და მსგავსი ვაიჟურნალისტების მეშვეობით ყალიბდებოდა კითხვებიც და პასუხებიც იქვე იწერებოდა. თუმცა, მოგვიანებით ესეც ვერ აიტანა მიხეილ სააკაშვილმა. მისგან განსხვავებით კი, ბიძინა ივანიშვილი ჟურნალისტებს საზოგადოებამდე აზრის მიტანის უმოკლეს ხიდად განიხილავს.

აქვე პარლამენტარმა ის მნიშვნელოვანი საკითხებიც დაასახელა, რაზეც ბიძინა ივანიშვილმა ერთთვიან ანგარიშში ისაუბრა. კერძოდ, ეს იყო სოციალური შეღავათების ამოქმედების შესახებ საკითხი. სხვათა შორის, აქ ითქვა ბევრი მწარე სიმართლე და, გია ცაგარეიშვილის აზრით, სწორედ ეს არის ბიძინა ივანიშვილის გამორჩეული ნიშანი, რომ იგი თამამად საუბრობს გამოწვევებზე, პირდაპირ ისაუბრა ვადებზე, პენსიებზე, დახმარებებზე, შემწეობებზე. ამ ვადების გაჟღერებამ კი დაარწმუნა საზოგადოება, რომ დანაპირები შესრულდება.

**„შეტყობინებების მეორე ნაწილი შეეხებოდა სამართლიანობის აღდგენას, დაკავებების ფაქტებს. ესეც მნიშვნელოვანი შეტყობინებაა, რომ ვინც დასასჯელია, რა თქმა უნდა, დაისჯება. ოღონდ აქვე ბატონმა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობა და პარლამენტი ერთად მუშაობს ერთგვარი ამნისტიის კანონზე იმ საჯარო მოხელეებისთვის, ვინც სცოდა და დააშავა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მათი დაკავება არ შედის ქართული სახელმწიფოს ინტერესებში“.**



გია ცაგარეიშვილს ახსენდება, რომ თავის დროზე ეს მოდელი ჩილემ გამოიყენა, როცა იქ პინოჩეტი და სამხედრო ხუნტა შეიცვალა და მოვიდა დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება. სწორედ ამავე პრობლემას შეეფეთა ლათინური ამერიკის ეს კოლორიტული ქვეყანაც. ფაქტობრივად, იქაც აწამეს ხალხი და წლების მანძილზე უმძიმეს მდგომარეობაში ამყოფეს, მაგრამ ამასაც აქვს საზღვარი და ეს ზღვარი სწორედ ივანიშვილმა გაავლო. უფრო ზუსტად, გია ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ იმ პოლიტიკური თანამდებობის პირებს, მაღალჩინოსნებსა და იმ საჯარო მოხელეებს, რომლებიც უკანონო დავალებებს ასრულებდნენ და კანონს არღვევდნენ, არ დასჯიან. ამის მიზეზი კი ისაა, რომ სწორედ ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის, სააკაშვილის მსგავსად გამოავსონ ციხეები ამ ადამიანებით, რომლებსაც ხელფასის სანაცვლოდ უსამართლო გადაწყვეტილებებს ასრულებინებდნენ. ამისთვის ზღვარი იქნება გავლებული, ოღონდ სამართლიანობა აღდგება და ყველა დამნაშავე პასუხს აგებს კანონის წინაშე.

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის შეტყობინებების მესამე ნაწილს, იგი ეხებოდა ნაცმოძრაობასთან თანაცხოვრებას, პარლამენტში მიმდინარე ვითარებას, ნაციონალების ქცევასა და უშუალოდ პრეზიდენტ სააკაშვილს. გია ცაგარეიშვილის აზრით, აქაც ნათელი შეტყობინებები მოვისმინეთ, რომ ის, რასაც ნაციონალები პოლიტიკას უწოდებდნენ, არის უზნეო და ამორალური საქციელი. ამდენად, თუ ასე გააგრძელებს ნაცმოძრაობა, მას პერსპექტივა არ აქვს და ის ნულის ტოლია.

**„ჩვენთვის თვითმიზანი არ არის სააკაშვილის გადაყენება, რომელიც ამას იმსახურებს. სწორედ ეს თქვა ბატონმა ივანიშვილმა. „ქართული ოცნება“ ემზადება, რომ კონსტიტუციაში შეიტანოს რამდენიმე სახის მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც დააჩქარებს იმ პრეროგატივების ძალაში შესვლას, რაც უნდა შესულიყო 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ანუ ჩვენ შევეცდებით, ის პროდუქტი, რასაც ჰქვია საპარლამენტო რესპუბლიკა, სამართლებრივად ბევრად უფრო ადრე მივიღოთ, ვიდრე ეს მოხდება 2013 წლის ოქტომბერში“.**

ამასთან, გია ცაგარეიშვილი იმედოვნებს, რომ კონსტიტუციაში შესატან პრობლემებს გაგებით მოეკიდებიან ჩვენი დასავლელი პარტნიორები. მეტიც, მას სჯერა ბიძინა ივანიშვილის ნათქვამის, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენ გადავტეხავთ სიტუაციას, ხოლო იმ ლობისტურ კომპანიებს, რომლებსაც ნაციონალები აფინანსებდნენ (მათ შორის, უშიშროების საბჭო, ბოკერიას მეშვეობით), მიღებული აქვთ დაახლოებით 21 მილიონი ლარი. ეს კი ასტრონომიული თანხაა, თანაც მარტო გასული წლისთვის.

**„იმ ადამიანებს, რომლებიც ქართულ სახელმწიფოებრიობას ფეხქვეშ თელავენ, ამის უფლებას არ მივცემთ. წითელ კომისრებს და კომკავშირლებს, კანდელაკების და მინაშვილების სახით, პარპაშის საშუალება ევროასპარეზზე აღარ ექნებათ, რადგან ისინი სააკაშვილის გადამრჩენები არიან“,** — აცხადებს გია ცაგარეიშვილი.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი **გოგი ხუციშვილი** მიიჩნევს, რომ ამ შეხვედრამაც დაადასტურა, რომ გაცილებით უფრო რთული ამოცანა შეხვდა ივანიშვილს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ვიდრე ის ფიქრობდა. მეტიც, ეკონომიკის, სოციალური მდგომარეობის, მთელი ამ სიტუაციის შეფასება წინასაარჩევნოდ მაინც სხვანაირი იყო, რადგან უფრო ჩანდა, რომ ბევრი ფული ტრიალებდა ქვეყანაში, ბიუჯეტი იზრდებოდა, გადასახადები ავსებდა ბიუჯეტს.

**„ამიტომაც წარმოდგენა იყო იმის შესახებ, რომ ეკონომიკური საკითხები უფრო ადვილად გადაწყდებოდა. თუმცა ახალმა ხელისუფლებამ რეალურად დაინახა, თუ რა მდგომარეობაშია ბიუჯეტი, რა პრობლემები დგას ეკონომიკური და სოციალური სფეროს წინაშე. მათ უკვე დაინახეს, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტა ისე სწრაფად, როგორც ისინი ფიქრობდნენ, არ გამოდის. ამის გამო ადამიანებში ახლა უკვე გარკვეული იმედგაცრუება ჩნდება“.**

ამის მიუხედავად, გოგი ხუციშვილს მიაჩნია, რომ იმედგაცრუება ჯერ ნაადრევია. დრო უნდა გავიდეს და ახალ ხელისუფალთ მივცეთ საშუალება, რაღაც ამუშავდეს.

ამასთან, გოგი ხუციშვილი იმედოვნებს, რომ ყველაფერი ნელ-ნელა განხორციელდება, რადგან უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეტყობა ახალ ხელისუფლებაში მოსულ ადამიანებს, ვიდრე ეს წინა ხელისუფლებას ჰქონდა. გარდა ამისა, უკვე ცხადია, რომ ბიუჯეტიდან ფული ისევე არ განიავდება, როგორც ეს ადრე ხდებოდა. აღარ იქნება ძვირადღირებული მშენებლობები და პროექტები, რომლებიც დღეს არავის სჭირდება. ყველაფერი ეკონომიით მოხდება და ცალკეული სფეროები წინ წავა.

რაც შეეხება ახალი ხელისუფლების პრეზიდენტთან შემდგომ თანაარსებობას, გოგი ხუციშვილის აზრით, მნიშვნელოვანია, თუ რა იგულისხმება კონსტიტუციურ ცვლილებებში. პრეზიდენტს ვადა ეწურება 2013 წლის 20 იანვარს, ამ დროს კი არჩევნები დანიშნულია ოქტომბერში. ეს ქმნის გარკვეულ საკონსტიტუციო პრობლემას, შეუთავსებლობაა ამ ორ თარიღს შორის. ამდენად, ან უნდა გადადგეს პრეზიდენტი და უფრო ადრე უნდა დაინიშნოს არჩევნები, ან პრეზიდენტს უნდა მიეცეს საშუალება, რომ ოქტომბრამდე გაუგრძელდეს ვადა.

**„მე ვხედავ, რომ ახალი ხელისუფლება იმისკენ იხრება, პრეზიდენტი თავისი პოსტიდან გადადგეს, მაგრამ სააკაშვილი ამას არ აპირებს. ამიტომ ეს პრობლემა სამართლებრივად უნდა გადაწყდეს. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოში უნდა შევიდეს ეს საკითხი და სასამართლომ უნდა გამოიტანოს გარკვეული დასკვნა იმის შესახებ, რომ ეს ორი თარიღი ერთმანეთს ხელს უშლის და არის შეუთავსებლობა. ამისთვის გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რადგან თვითონ საპარლამენტო უმრავლესობას არა აქვს საამისო საშუალება. ამას სჭირდება ხმების ორ მესამედზე მეტი. ამდენად, ოპოზიციის, ანუ ნაციონალების ხმების გარეშე ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ცალმხრივად ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებას პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ“.**

**მანანა ნოზაძე**

**ინფორმაცია**

## თბილისის მერიას საახალწლო განათება 796 000 ლარი დაუჯდება

**ამ თანხას შპს „სინათლის ქალაქი“ ძველი გირლიანდების, საახალწლო ღონისძიებებისათვის ილუმინაციებისა და აქსესუარების მონტაჟის , ექსპლუატაციისა და დემონტაჟის მომსახურებაში მიიღებს.**

**თბილისის მერიამ ტენდერი საახალწლო ღონისძიებებისათვის ილუმინაციებისა და აქსესუარების მონტაჟის, ექსპლუატაციისა და დემონტაჟის მომსახურების შესყიდვაზე 27 სექტემბერს გამოაცხადა. ტენდერში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა „სინათლის ქალაქმა“ მიიღო. შესაბამისი ხელშეკრულება „სინათლის ქალაქთან“ 29 ოქტომბერს არის გაფორმებული. როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიაში განუცხადეს, საახალწლო განათებების მონტაჟი თბილისის გარეუბნებიდან დაიწყო და ცენტრალურ ქუჩებზე 20 დეკემბერს დასრულდება.**

**როგორც მერიაში აცხადებენ, გასული წლებისგან განსხვავებით, წელს ახალი განათებების მოწყობილობების შესაძენად ტენდერი არ გამოცხადებულა და შესაბამისად ქუჩებში ძველი გირლიანდები მონტაჟდება.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# დღევანდელი მდგომარეობა ენერგეტიკაში მხოლოდ კლანური მმართველობის გაგრძელებაა



ამცხადებს „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **დემურ გიორხელიძე**

**— ბატონო დემურ, პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება „ტარიფების განახევრება არ გამოვა, მაგრამ სუბსიდირების ხარჯზე შემცირდება“. მისივე განმარტებით, ტარიფის განახევრებასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ დაპირება იმის გამო „აღმოჩნდა გადაჭარბებული“, რომ საქმეში ჩახედული არ იყო. თქვენი აზრით, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დამატებით რა ინფორმაცია მიიღო ივანიშვილმა ისეთი, რომლის მიღების შემდეგაც ჩათვალა, რომ შეღავათებს მთავრობა ძველი სქემით დაფარავდა?**

— ვფიქრობ, პრემიერ-მინისტრი სრულად ინფორმირებული არ იყო, ანაც მიზანმიმართულად იყო ინფორმირებული. ზოგადად, წინასაარჩევნო პერიოდში ტარიფების განახევრება არც არასდროს თქმულა. საუბარი იყო გაზის ტარიფის განახევრების შესაძლებლობაზე, თუმცა, ციფრები არც მაშინ არ დასახელებულა.

რაც შეეხება დენის ტარიფს, აქ გაცილებით ფრთხილი მიდგომა უნდა. წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე თემატურ ჯგუფში ამ თემაზე სერიოზული კონსულტაციები ჩატარდა საუკეთესო ენერგეტიკოსებთან. მათ დაასაბუთეს, რომ ელექტოენერგიის ტარიფი 10 თეთრის ფარგლებში, უფრო სწორად, ზამთრის სეზონზე 10,8 თეთრი და ზაფხულში 9,4 და 9, 5 თეთრი სრულიად შესაძლებელია. თუ უაზრო ვალდებულებებს აიღებ, ტარიფი უაზრო იქნება. დღევანდელი შემცირება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს და მე ამაზე არაერთხელ მისაუბრია.

ჩვენ არავის ბრალდებებს არ ვუყენებთ. უბრალოდ, არ გვინდა დავრჩეთ უჭკუო და ბოთე ხალხის როლში, რომელსაც გათავხედებული ჯგუფები ამდენი წელია, ათამაშებს. სამწუხაროდ, ახალ ხელისუფლებაშიც გაჩნდა ხალხი, რომელთაც მუქთა ფულის ხელიდან გაშვება არ უნდათ და ამიტომ, პრემიერ-მინისტრს მიაწოდეს ინფორმაცია, თითქოს ტარიფების მნიშვნელოვნად შემცირება არ შეიძლება.

ვიმეორებ, ყველაფერი, რაც ბატონმა ივანიშვილმა ტარიფებთან დაკავშირებით წინასაარჩევნოდ თქვა, იყო აბსოლუტურად სწორი. არანაირი პროპაგანდისტული მიზნები მას არ ჰქონდა. მან ტარიფთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები თემატური ჯგუფის მუშაობის 7 თვის შემდეგ გაახმოვანა, როდესაც ყველაფერი ზუსტად იყო აწონ-დაწონილი. ჩემთვის, როდესაც ამ ციფრებს ვასახელებდით, დახურული და ღია ინფორმაციაც ცნობილი იყო, ამიტომ, როდესაც ჩვენ ტარიფებთან დაკავშირებით ჩვენი აზრი გამოვთქვით, ძალიან კარგად ვიცოდით, რასაც ვაკეთებდით. **პირდაპირ ვაცხადებ, ელექტროენერგიის ტარიფების ფასი პოლიტიკური ნების საკითხია. ან შენ გინდა, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა საკუთარი თანხები განკარგონ საკუთარი შეხედულებით, ან გამოდიხარ იმ მოსაზრებებიდან, რასაც „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში 9-წლიანი ყოფნის დროს აკეთებდა. ანუ, გააგრძელო უშემოსავლო და გაღატაკებული ხალხისგან მეტი ფულის ამოიღება და შემდეგ ეს თანხები, როგორც კორპორაცია-სახელმწიფოს ვიწრო ჯგუფმა, განუკითხავად ხარჯო.** თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, ხალხი დღეს იმდენად შეცვლილია, რომ ამას 9 წლის ლოდინს არ დაუწყებს და თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას უკვე ახალი მმართველი გუნდის მიმართ გამოხატავს.

**— დღევანდელი ვითარება შევარდნაძის მმართველობის პერიოდისგან იმით განსხვავდება, რომ თუ მაშინ „ენერგომამების“ ვინაობა ცნობილი იყო, დღეს მათი ვინაობა უბრალოდ უცნობია, თქვენ მათზე რა ინფორმაცია გაქვთ?**

— შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული გავლენის ჯგუფები არსად წასულან. ერთი და იგივე ელიტაა, ელიტის შიგნით მოხდა გადაჯგუფებები. „ნაცმოძრაობა“ არ წარმოადგენს ახალ ელიტას, ისინი ხელისუფლებაში სწორედ შევარდნაძის უდიდესი ხელშეწყობითა და დახმარებით და ქართული პოლიტიკური ლიდერების გამაოგნებელი იდიოტური შეცდომების შედეგად მოვიდნენ. ამ სფეროში გავლენის ჯგუფები იგივეა, ისინი ქვეყნის გარეთაც არიან და პროცესებს იქიდან განაგებენ. ცალკეული ფიგურანტები კი იცვლება, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს და არც ცვლის. იმავე ელიტის ფარგლებში ცალკეული ჯგუფები ანაცვლებენ სხვა ინტერესთა ჯგუფებს. რაც შეეხება „ენერგომამებს“, თავად ხელისუფლება იყო ყველაფრის „მამა“, თუმცა იგი იძულებული იყო ბევრი რამისთვის გაეწია ანგარიში.

**— ბატონო დემურ, რა გამოდის, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ქართულ-რუსული „ენერგომამების“ თამაშის წესები მიიღო? რამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალი ხელისუფლება გამოიჩენს პოლიტიკურ ნებას ტარიფების დაწევასთან დაკავშირებით?**

— მე ამას არ დავუკავშირებდი რუსულ-ქართულ ურთიერთობებს. ბატონი ივანიშვილი იმდენად გავლენიანი ბიზნესმენი იყო, არ შეიძლება არ იცოდეს, რომ პოლიტიკაში გავლენების დონეზე თამაში სრული პოლიტიკური კრახის ტოლფასია. არც ჩემს ქვეყანას და არც პრემიერ-მინისტრს, რომელსაც უაღრესად ვცემ პატივს, არ ვუსურვებდი ამ ჯგუფების გავლენის ქვეშ მოქცევას. ჩემი აზრით, ის, რაც ივანიშვილმა ტარიფებთან დაკავშირებით თქვა, სწორედ გავლენის ჯგუფების მიერ მიწოდებული ინფორმაციის შედეგი იყო და ძალიან მინდა, რომ მომავალში მსგავსი არაფერი განმეორდეს.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, როგორც ტარიფების საკითხმა აჩვენა, ახალ ხელისუფლებაში ე.წ. რუხი კარდინალების გავლენა ძალიან სერიოზულია. პირადად მე, მხოლოდ ივანიშვილის გონიერების იმედად ვრჩები და ვიმედოვნებ, რომ, ის გამოავლენს პოლიტიკურ ნებას და ტარიფებთან დაკავშირებით ენერგეტიკაში არსებულ ლობისტურ ჯგუფებს უკან დახევას აიძულებს.

**— რას შეიძლება უკავშირდებოდეს წინა ხელისუფლების ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურის „იტერა საქართველოს“ გენერალურ დირექტორად დანიშვნა? ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ წინა ხელისუფლებას არ გააჩნდა იმის პოლიტიკური ნება, რომ რუსულ მხარესთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომლის მოქმედების ვადა, როგორც ამბობენ, 2025 წლამდეა, შევიდეს ცვლილებები და ელექტროენერგიაზე ტარიფმა არ დაიწიოს?**

— ეს დანიშვნაც იმის დასტურია, რომ ინტერესთა ჯგუფები არ იცვლებიან და ეს იმ ტრადიციის გაგრძელებაა, რაც აქამდე საქართველოში იყო. **თუ თქვენ „თელასს“ გულისხმობთ, მიმაჩნია, რომ იგი აბსოლუტურად დაუმსახურებლად იღებს 1 კვ ელექტროენერგიაში 3 თეთრით მეტს. ეს იმდენად თეთრი ძაფით ნაკერი კონსტრუქციაა, რომლის ვალდებულების გაუქმება უბრალოდ აუცილებელია. შეუძლებელია, ასეთი ტიპის ორგანიზაცია თითქმის 100-150%-იანი მოგებით მუშაობდეს. ასეთი რამ არსად მსოფლიოში არ ხდება და გაუგებარია საქართველოში რატომ უნდა ხდებოდეს.** ამგვარი რამ მხოლოდ იქ შეიძლება ხდებოდეს, სადაც სრული განუკითხაობა, სუსტი საზოგადოებრივი კონტროლია და აბსოლუტურად სუსტი მედიაა.

**— ფაქტია, თუ ელექტროენერგიაზე ტარიფმა რეალურად არ დაიწია, ეკონომიკის გაძლიერებასა და წარმოების განვითარებაზე საუბარი აზრს დაკარგავს. მაგალითად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ივანიშვილის დაპირებისამებრ 2013 წლის გაზაფხულზე ქვეყანაში უპრეცედენტო ხვნა-თესვა განხორციელდა და საქართველომ საკმაოდ კარგი ხორბლის მოსავალი მიიღო, ელევატორებში მისი გადამუშავება იმდენი დაჯდება, რომ ფქვილის ფასი მაინც საკმაოდ მაღალი იქნება და ფქვილის ექსპორტიორები კვლავაც მოგებული დარჩებიან?**

— იმ სიტუაციაში, რომელშიც ვართ, ჯერჯერობით, იმის თქმა, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ახალი ხელისუფლება, ჩემთვის ძნელია. ერთ წელიწადში ფანტასტიკური ხვნა-თესვის შედეგის მიღება შეუძლებელია. ხორბალი ბევრიც რომ მივიღოთ, ჯერჯერობით, არანაირი საკანონმდებლო შეზღუდვები და სამთავრობო გადაწყვეტილებები არ არის იმ მონოპოლისტური ჯგუფების მიმართ მიღებული, რომლებსაც ფქვილი შემოაქვთ. ჯერჯერებით არა მარტო ფქვილის, არამედ სხვა პროდუქტების ექსპორტს, „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩამოყალიბებული ჯგუფები აკონტროლებენ.

ახალი მთავრობა მხოლოდ ერთი თვეა საქმიანიობს, ალბათ, მათ მეტი დრო დასჭირდებათ ვითარებაში გასარკვევად. თუ სერიოზული საკანონმდებლო ცვლილებები არ განხორციელდა და იმპორტიორები დღეს არსებულ კომფორტულ მდგომარეობაში დარჩნენ, მაშინ ვითარების გამოსწორებას ვერანაირი მასშტაბური ხვნა-თესვა ვერ უშველის. საქართველოში ხორბლის კარგი მოსავალი ადრეც მოსულა, მაგრამ ხელისუფლების მხარდაჭერით ლობისტურმა ჯგუფებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ მწარმოებლებს 1 კგ ხორბალში მხოლოდ 20 თეთრი მიეღოთ. როცა ქვეყანაში ასეთი უმსგავსობა ხდება, ცოტა უფრო ფუნდამენტური ნაბიჯების გადადგმაა საჭირო, ვიდრე ჯერჯერობით ჩვენ ვხედავთ.

**— პოლიტიკაში ივანიშვილის გამოჩენამდე და გარკვეული პერიოდი მას შემდეგაც, პრეზიდენტი სააკაშვილი და ენერგეტიკის მინისტრი ხეთაგური ხშირად ჩნდებოდნენ ტელეეთერში და გვარწმუნებდნენ, რომ ჰიდროჰესების მშენებლობას საქართველოში თურქული კომპანია განახორციელებდა და ამ მშენებლობებზე 13 ათასი ადამიანი დასაქმდებოდა. შემდეგ, ქართულ პრესაში იყო ცნობები იმის თაობაზე, რომ ჰესების მშენებელი თურქული კომპანია, რომლის ოფისი სტამბოლშია, რუსული იყო და მას „ეფ-ეს-ბეს“ გადამდგარი გენერალი ხელმძღვანელობდა, რომლის მრჩეველიც ხეთაგურის ძმა გახლდათ და მისი ხელფასი 15 ათასი დოლარია. თქვენ რა იცით საქართველოში ჰესების მშენებარე კომპანიის შესახებ?**

— ამ კონკრეტული პიროვნებების შესახებ არაფერი ვიცი, მაგრამ ასეც რომ იყოს, არ გამიკვირდებოდა, ვინაიდან ამ სფეროში კარგა ხანია საქმე გვაქვს კლანურ მმართველობასთან. რასაც ჯერჯერობით ვხედავ, მხოლოდ კლანური მმართველობის გაგრძელებაა. რაც შეეხება ენერგეტიკას, ქართველ ენერგეტიკოსებსა და ინჟინრებს შემუშავებული აქვთ ქართული ენერგეტიკის განვითარების ბრწყინვალე პროგრამა.

ამ პროექტის განხორციელებისთვის დამოუკიდებლად გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები და ახლა მათ მთავრობიდან ელემენტარული ხელშეწყობა სჭირდება. საუბარია, საკმაოდ დიდ თანხებზე, ეს თანხები მოძიებულია და ახლა საჭიროა ხელისუფლების ნება, რათა ეს თანხები ქვეყანაში შემოვიდეს. თუ ამ პროექტებს ჯგუფური ინტერესები დაუდგა წინ, მაშინ ქართული ენერგეტიკა მხოლოდ ცალკეული ჰესების და არა მთელი სისტემის ფარგლებში განვითარდება. ძველი მმართველობიდან მე ვერ ვხედავ ადამიანს, რომელსაც ეყო მასშტაბი, სწორად წარმოედგინა ქართული ენერგეტიკის განვითარება. გარდა იმ ლოკალური ინტერესებისა, რისი მომსწრეც ჩვენ აქამდე ვიყავით და რეალურად 9 წლის განმავლობაში ენერგეტიკაში არაფერი გაკეთებულა. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, ჩვენი ენერგეტიკა იმავე რეჟიმში იქნება, რომელშიც აქამდე იყო და გამოუყენებელი დარჩება ის შესანიშნავი პოტენციალი, რომელიც ამ თვალსაზრისით ქვეყანას აქვს.

**— რამდენად შეიძლება გვქონდეს იმის იმედი, რომ ივანიშვილი და მისი მთავრობა წაახალისებს ქვეყანაში ენერგეტიკის განვითარებას და ქართული კომპანიების მიერ აშენებული ჰიდროჰესები მომავალში უზრუნველყოფს საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას?**

— ერთადერთი, რისი იმედიც მაქვს, მასშტაბური ენერგეტიკული პროექტებისადმი ბატონ ივანიშვილის საღი პოზიციაა. ასეთი დიდი პროექტები მხოლოდ კარგად გათვლილი სტრატეგიული გეგმის ფარგლებში უნდა სრულდებოდეს და არა ცალკეული ინტერესეთა ჯგუფების მიხედვით. მე სწორედ იმაზე მაქვს გათვლა, რომ იგი ამ საკითხში სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს. რასაც ვუყურებ, ჯერჯერობით ამგვარი იმედის საფუძველიც არ არის.

**კობა ბენდელიანი**

## ალიან-ჩალიანი

### საქართველოს ყოფილ მთავრობას ჩემი ლიკვიდაცია ჰქონდაო დაგეგმილი

**ბიზნესმენ ლევან პირველის განმარტებით, საქართველოს ყოფილ მთავრობას მისი ლიკვიდაცია ჰქონდა დაგეგმილი. როგორც ლევან პირველმა ჟურნალისტებს ავსტრიიდან ტელეხიდით განუცხადა , საქმეში ფიგურირებს არა მხოლოდ ახალაია, არამედ სხვა ადამიანებიც.**

**— აგვისტოს თვიდან მე მყავდა გაძლიერებული დაცვა. სახლი იყო სამართალდამცველებით 24-საათიან რეჟიმში დაცული. მე მომცეს ტყვიაგაუმტარი მანქანაც და პირადი სპეცრაზმი მიცავდა 24 საათის განმავლობაში. ეს ხდებოდა თითქმის დღემდე. საქმე იყო აღძრული, რომ ჩემი ლიკვიდაცია იყო დაგეგმილი საქართველოს მთავრობის მიერ. მანდ არის რამდენიმე პიროვნება, მაგრამ მე მათი დასახელებიდან თავს შევიკავებ, რადგან საქმეს იძიებენ ავსტრიის სამართალდამცავი უწყებები, — განაცხადა ლევან პირველმა.**

**ლევან პირველი ასევე გამოეხმაურა ნიკა უჩანეიშვილის მკვლელობასაც. მისი თქმით, ის პირადად დააყენებს მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხს და მიმართავს პროკურატურას საჩივრით, რომ დაისაჯოს სააკაშვილი იმ განცხადების გამო, რომლითაც ის ლევან პირველს უშუალოდ ადანაშაულებს ნიკა უჩანეიშვილის მკვლელობაში.**

**ლევან პირველის განცხადებით, მას არ მიუძღვის არანაირი წვლილი და ის არასდროს არც ეჭვმიტანილი, არც ბრალდებული არ ყოფილა. მისი თქმით, ის მხოლოდ მოწმის სტატუსით იკითხებოდა.**

### პოლიტდევნილთა სიაში შეყვანას მოითხოვს

**ყოფილი დეპუტატი ლევან პირველი პოლიტდევნილთა სიაში შეყვანას მოითხოვს. ამის შესახებ მან ჟურნალისტებთან ავსტრიიდან ტელეხიდისას განუცხადა.**

**პირველის თქმით, ზურაბ ტყემალაძე მის სიაში შეყვანასთან დაკავშირებით უკვე მიმართავს პარლამენტის ადამიანთა უფლებათა დაცვის კომიტეტს.**

**— ჩემთვის გასაკვირია, თუ რატომ არ შემიყვანეს ამ სიაში. უცნობია, რა კრიტერიუმებით და პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ სიის ავტორები მისი შედგენისას, იმიტომ, რომ პარლამენტართა უმრავლესობამ იცის, რომ მე მონიჭებული მაქვს პოლიტიკური დევნილის სტატუსი, — განაცხადა ლევან პირველმა. მისივე თქმით, პარლამენტში არიან კონკრეტული ადამიანები, რომლებსაც მისთვის პოლიტდევნილის სტატუსის მინიჭება არ აწყობთ, რადგან „არ აქვთ სურვილი, მოუწიოთ კითხვებზე პასუხის გაცემა“, — აღნიშნავს ლევან პირველი. ლევან პირველის თქმით, როდესაც მიიღებს პოლიტიკური დევნილის სტატუსს, უკვე შეეძლება საქართველოში დაბრუნება, რის შემდეგაც განაახლებს პოლიტიკურ საქმიანობას.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დევნილები

**დევნილებს ახალი ხელისუფლების მოსვლით ახალი იმედი მიეცათ. წინა ხელისუფლების დროს ქაჯეთის ციხესავით ჩაკეტილ-ჩარაზული საქართველოს განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კარი უკვე ღიაა ამ უზომოდ შეჭირვებული ადამიანებისათვის.**

**არამცთუ დევნილებს, ჟურნალისტებსაც კი არავინ გვიშვებდა ამ შენობის შიგნით. სასიამოვნოდ გამაოცა მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის ეკა გულუას ზარმა, როცა მან ჩემი თხოვნიდან მეორე დღესვე შემახვედრა მინისტრს, ბატონ დავით დარახველიძეს. საზოგადოებამ იცის, რომ ყოველი კვირის სამშაბათს მინისტრი ხვდება დევნილებს და ეცნობა მათ პრობლემებს.**

**დავით დარახველიძე ჯერ თავის სამუშაო კაბინეტშიც არ იყო შესული, როდესაც ძველმა თუ ახალმა დევნილებმა ძალით დაიწყეს შეჭრა და საცხოვრებელი ფართების დაკავება სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო პირთა საკუთრებაში მყოფ შენობებში. ეჭვი ამ აქციის ასეთი ორგანიზებულობის შესახებ იმთავითვე გაჩნდა, რადგან აშკარა იყო სურვილი, დამკვიდრებულიყო აზრი, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლას განუკითხაობა და ძალადობაც თან მოჰყვებოდა...**

**მაგრამ ბატონი დავითი ამბობს, რომ კანონი და სამართლიანობა მისთვის უზენაესია... ისიც იცის, რომ თითოეული ამ პრობლემის უკან უკიდურესად შეჭირვებული ადამიანები დგანან. თუმცა, ჯობს, თავად მინისტრს მოვუსმინოთ, რომელმაც საუბარი სწორედ ამ „შეჭრებით“ დაიწყო:**



# დევნილთა „შეჭრები“ ორგანიზებული იყო,

## აცხადებს დავით დარახველიძე და ამბობს, რომ ყოველთვის სამართლიანი იქნება

— აქცია თავიდანვე ორგანიზებული იყო. ამის შესახებ არაერთხელ განვაცხადე პრესისა და ტელევიზიის საშუალებით. დავასახელე კიდეც ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორებიც, რომლებიც ამას ხელმძღვანელობდნენ... მთლიანობაში, ეს ყველაფერი ყოფილი ხელისუფლებისგანაა სტიმულირებული... ჩემს ამ განცხადებებს ისინი უმალ გამოეხმაურნენ და თქვეს, რომ ეს არ იყო სიმართლე და გვირჩიეს, საქმე გვეკეთებინა, მაგრამ სწორედ ამ საქმის კეთებაში გვიშლიან ხელს...

არჩევნებამდე ნაციონალები, ხმების მოპოვების მიზნით, თავიანთი კოორდინატორების მეშვეობით, დევნილებს ბევრ დაპირებებს აძლევდნენ. დევნილებს არ ჰქონდათ ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება არჩევნების მიმართ. ამიტომ ხმებიც გაიყო — ნახევარმა ხმა ნაციონალებს მისცა, ნახევარმა „ქართულ ოცნებას“ დაუჭირა მხარი... ეს, რაც ამ არჩევნებზე მოხდა... მანამდე კი მათი უმეტესობა წინა ხელისუფლებას უჭერდა მხარს... ბევრმა მათგანმა, რადგან დაპირებული ვერ მიიღო, მომხდარის გამო, გადაწყვიტა ძალით შეჭრით, ამგვარი ფორმით გამოეხატა პროტესტი... ყველაფერ ამას კი ორგანიზება გაუკეთეს ნაცმოძრაობის კოორდინატორებმა, შეცდომაში ის პატიოსანი და კანონმორჩილი დევნილებიც კი შეიყვანეს, რომლებსაც მართლა აქვთ გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები, მაგრამ აქამდე ითმენდნენ... დღეს ისინი 50-მდე ობიექტში არიან შეჭრილები...

**— ბატონო დავით, დარჩებიან თუ არა ისინი ამ შენობებში, სახელმწიფოს მხრიდან თუ იქნება მათ მიმართ ამ მხრივ რაიმე კომპრომისი?**



— კომპრომისი ამ მხრივ არასამართლიანი იქნება. შეჭრილ ობიექტებში დღეის მდგომარეობით 1090 ოჯახია... 60 000-მდე კაცი კი ბინით დასაკმაყოფილებელია. წინა ხელისუფლებამ 25-დან 30 ათასამდე პირის დაკმაყოფილება შეძლო. კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებ დევნილთა ნაწილმა დაიკანონა ფართები, ნაწილმა — ვერა. ამიტომ ამ შენობებს, კომპაქტურად დასახლებულის სტატუსი ჩამოერთვა. ვინც კი დაიკანონა, ისინიც, სტატისტიკის თანახმად, დაკმაყოფილებულად ჩათვალეს, ასეთ პირთა რიცხვმა კი 30 ათასი შეადგინა!

**— როგორ აპირებთ ამ პრობლემის გადაჭრას? საკმაოდ მძიმე მემკვიდრეობა გერგოთ...**

— აქ ყველაფერი ნათელია — ამ ადამიანებს სჭირდებათ საცხოვრებელი ფართები. ფართებს კი — თანხები. ფული კი, რომელიც ამ პრობლემის მოსაგვარებლადაა საჭირო, ჯერ არ ჩანს, ეს ძალიან დიდ ციფრებში გამოხატული თანხებია... მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გავბედეთ და დავიწყეთ საუბარი ოთხწლიან პროგრამაზე, რომ ჩვენს საარჩევნო ვადაში, ანუ 2016 წლის ბოლომდე დევნილთა საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების საკითხი უნდა მოგვარდეს!

**— ბატონო დავით, წინა ხელისუფლებამ აგვისტოს ომის დევნილებს მისცა ალტერნატიული არჩევანის საშუალება — საცხოვრებელი ფართით ან მისი შესაბამისი ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილება. როგორ პირობებს სთავაზობთ თქვენ?**

— სამწუხაროდ, თანხის გაცემამ შედეგი ვერ გამოიღო. ვისაც მისცეს თანხა, მას ის თანხა დაეხარჯა და დღეს ისევ აქ დგას და ითხოვს ბინას... იმიტომ, რომ იმ ფულით ვერ შეძლო ბინის შეძენა, ან დაეხარჯა იმ უამრავი ყოველდღიური პრობლემების მოსაგვარებლად, რომლებიც ძალიან აწუხებს... მაგალითისათვის მოვიყვან სასტუმრო „აფხაზეთიდან“ გამოსულ დევნილებს, რომლებმაც მიიღეს თანხები (ან რომლებიც აცხადებენ, რომ ეს მოხდა წინა ხელისუფლების მხრიდან ზეწოლით, ოჯახების გაერთიანებით), ეს თანხა კი შეადგენდა ათი ათას ამერიკულ დოლარს, რომლითაც მათ ვერაფერიც ვერ შეიძინეს და დღეს ისინი კვლავ ძლიერ შეჭირვებულები არიან...

ჩვენი მიდგომა კი ასეთია: დევნილებს უნდა მოვუგვაროთ ის გადაუდებელი პრობლემები, რომლებსაც სახელმწიფოს დახმარების გარეშე ვერ შეძლებენ. მაგალითად, თანხას მივცემთ მაშინ, როდესაც სჭირდებათ ბინის შეძენა, თანხას ხელზე კი არ მივცემთ, არამედ ვთქვათ, დავუფინანსებთ სწავლის გადასახადს, მოიტანს საავადმყოფო ფურცელს და გადავუხდით მკურნალობის საფასურს, არის პროექტები რომლის თანახმადაც ჩვენ მათ ვუყიდით ძროხას და ა. შ...

ამიტომაც, პრაქტიკამ დაგვანახა, რომ 90 პროცენტ შემთხვევაში თანხის ხელზე გაცემა შედეგს არ იძლევა და პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება... თუმცა, მე ამით იმის თქმა არ მსურს, რომ ეს გამორიცხულია...

**— ბატონო დავით, როგორც ახალი მინისტრი, როგორ მიმართავთ დევნილებს?**

— მინდა მათ ვუთხრა, რომ ყოველთვის ვიქნები სამართლიანი. ეს სიმართლე კი ზოგჯერ შეიძლება ვინმესთვის არც იყოს სასიამოვნო, მაგრამ ეს იქნება სიმართლე... ელოდონ იმას, რომ მათთვის გამოყოფილი არც ერთი თეთრი, უცხოური ინვესტიცია იქნება ეს თუ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფული, არავითარ შემთხვევაში არსად არ წავა, გარდა მათი პრობლემებისა და ინტერესების მოგვარებისა, მაქსიმალურად შევეცდები, რომ სამინისტროს ყველა თანამშრომელი იგივე სულისკვეთებით ემსახუროს, თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი დაახარჯოს დევნილთა პრობლემების მოგვარებას. გამუდმებით ვიზრუნებ მათი საცხოვრებელი პირობებით, დასაქმებით უზრუნველყოფისათვის. უნდა მოვახდინოთ საზოგადოებაში მათი სრული ინტეგრაცია... ყველა ამ პრობლემაზე შესაძლებლობათა მაქსიმუმს დავხარჯავთ და გულმოდგინედ ვიმუშავებთ... ამაში კი, უპირველესად, მე დიდი იმედი მაქვს ახალი მთავრობის, მისი მეთაურის, ბატონი **ბიძინა ივანიშვილის,** მისი მიდგომა ძალზე განსაკუთრებულია დევნილთა მიმართებაში. ის დაინტერესებულია, რაც შეიძლება მალე და დადებითად გადაიჭრას ამ ადამიანთა პრობლემები... ყველა ერთობლივად არის დაინტერესებული, რომ ჩვენმა დევნილებმა უკეთ იცხოვრონ... ვეტყვი იმასაც, რომ კიდევ ოცი წელი აღარ მოუწევთ მძიმე ლოდინი ელემენტარული საცხოვრებელი პირობების მოსაგვარებლად... თუმცა, რამდენიმე წელი სიძნელეთა დასაძლევად კიდევ დაგვჭირდება, ჩვენი ამბიციური პროექტით კი, ეს დრო 3-4 წელი იქნება...

**— სამწუხაროდ, ამ პრობლემების უკან დგანან ადამიანები, ქვეყნის ყველაზე ძვირფასი საგანძური, რომლებიც თითქმის მთელი სიცოცხლე მოთმინებით ზიდავენ სამშობლოს მძიმე ჯვარს, რომელსაც დევნილობა ჰქვია. სიცოცხლე კი ძალიან ხანმოკლეა იმისთვის, რომ მხოლოდ გაჭირვებასა და დამცირებაში გაატაროს ადამიანმა... დღევანდელობის სულიერების დეფიციტის ფონზე აქამდე ხშირად მათ ტკბილ, იმედიან სიტყვასაც არავინ ეუბნებოდა... შეიცვლება თუ არა დამოკიდებულება დევნილებისადმი?**

— ჩვენი, ახალი ხელისუფლების ძირითადი პოსტულატი, ძირითადად მესიჯი არის ის, რომ ყველაზე დიდი ღირებულება ადამიანია! ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ადამიანის ცხოვრება იყოს უფრო მეტად სასიამოვნო, უფრო მეტად დაცული, რომ ეს ხანმოკლე წუთისოფელი ადამიანს ბოლოს საწყევრად არ გაუხდეს...

სწორედ დღეს მქონდა მიღების დღე და ხუთი საათის განმავლობაში ვუსმენდი ამ ადამიანების პრობლემებს. არ გადავაჭარბებ, ისინი გაჩენის დღეს იწყევლიან... მძიმედ ჩამრჩა გულში ერთი ქალბატონის ნათქვამი: „არ მინდა სიცოცხლე, მაგრამ ქრისტიანი ვარ და თავი როგორ მოვიკლაო...“, იმდენად დაუძლეველი პრობლემების წინაშე დგანან. ჩემთვისაც დამთრგუნველია ასეთი ისტორიების მოსმენა და როგორ შემიძლია, მათ არ დავეხმარო, არ ვანუგეშო... ვთხოვ, რომ ცოტა ხანს კიდევ დაითმინონ... მათკენ ჩვენ ნაბიჯები, პრობლემათა ურთიერთგაზიარების, ტკივილის მოსმენის თვალსაზრისით, უკვე გადავდგით. მათთვის გახსნილია სამინისტროს კარი და ამით ისინი კმაყოფილნი არიან... მათ შორის არიან ადამიანები, რომლებიც ამ ოცი წლის მანძილზე პირველად ხვდებიან მინისტრს, მინისტრის მოადგილეს... მაგრამ მარტო სიტყვიერი ნუგეში ხომ საკმარისი არ არის! რაც შეეხება საქმიან ნაბიჯებს, ჩვენ უკვე დავიწყეთ სერიოზული მუშაობა იმ პროექტებზე, რომლებმაც უნდა შეამსუბუქოს დევნილთა ხვედრი... სწორედ ამისთვის ვართ მოსულები სამინისტროში...

**ესაუბრა**
**ლია ჭიღლაძე**

ინფორმაცია

# „დარიალი-ჰესის“ მშენებლობის შესწავლას ითხოვენ

**ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს მთავარი პროკურორისგან „დარიალი-ჰესის“ მშენებლობასთან დაკავშირებული კანონდარღვევების შესწავლას მოითხოვს.**



**„მწვანე ალტერნატივას“ მტკიცებით, ფაქტია კანონის მოთხოვნების უხეში დარღვევები როგორც კომპანიის, ასევე სახელმწიფო უწყებების მხრიდან. კერძოდ, ასოციაციის მტკიცებით, კომპანია „დარიალი ენერჯი“ ჰესს უნებართვოდ აშენებდა, ხოლო გარემოს დაცვის სამინისტრომ და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ არ მიიღეს ზომები ამ კანონდარღვევის აღსაკვეთად. გარდა ამისა, ასოციაციის შეფასებით, გარემოს დაცვის სამინისტრომ უხეშად დაარღვია კანონის მოთხოვნა და დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გასცა „დარიალი ჰესის“ მშენებლობის პროექტზე, რომელიც ითვალისწინებდა სამშენებლო საქმიანობის წარმართვას ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე.**

**ამასთან, „მწვანე ალტერნატივას“ მტკიცებით, საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული უკანონობის გამოსწორების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა კანონის მოთხოვნების უხეში დარღვევით ცვლილება შეიტანა „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონში და ჰესის მშენებლობის საბაბით, ყაზბეგის ეროვნული პარკიდან 20 ჰექტარზე მეტი ფართობის ტერიტორია ამორიცხა.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## თქვენ როგორ ფიქრობთ?

# ხმები სააკაშვილის გადაჭარბებული ხელგაშლილობისა და თავქარიანობის შესახებ გადაჭარბებულია?!

**ცნობილი ამბავია, მარკ ტვენმა საკუთარი გარდაცვალების შესახებ გაზეთში გამოქვეყნებული განცხადება რომ ჩაიკითხა, თვალებს არ დაუჯერა, მაგრამ იუმორისტი მწერალი არ დაიბნა და მეორე დღეს იმავე გაზეთით დამგლოვიარებულ მკითხველს აუწყა: ცნობა ჩემი გარდაცვალების შესახებ გადაჭარბებულიაო. არ ვიცი, შეიძლება სიტყვა „გადაჭარბებულის“ ნაცვლად „გაზვიადებულიც“ იხმარა, ზუსტად აღარ მახსოვს.**

თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ მწერალმა საზოგადოებას მოდებული უსიამოვნო ჭორი გაფანტა და თანაც მახვილგონივრულად. ვერ დავიჩემებ, რომ საქართველოს ნეტარპრეზრდენტ სააკაშვილს გონიერება და იუმორი აკლია, მაგრამ რატომღაც არ მახსენდება თავის სატელევიზიო ან ხალხთან პირისპირ გამოსვლებში უარეყოს მისი გადაჭარბებული ხელგაშლილობისა და თავქარიანობის შესახებ პრესაში გამოქვეყნებული, გნებავთ, საზოგადოებაში გავრცელებული ბრალდებები. იქნებ იმიტომ, რომ ამის თაობაზე არავისგან მოუსმენია და არსად წაუკითხავს? შეიძლება ასეც იყოს, სააკაშვილი ხომ, როგორც თავად აცხადებს, არც ტელევიზორს უსმენს და არც გაზეთს კითხულობს(!).

ჰოდა, ასეთ პრეზიდენტს, რომელსაც საკუთარი ქვეყნის ჭირ-ვარამისთვის ვერ მიუგდია ყური, როგორ ან რა პირით დაავალებ, თვალდაუხამხამებლად უცქიროს მეზობელი რუსეთის ტელევიზიას, მით უფრო, თუ ეს ქვეყანა ოკუპანტია და მისი თავკაცის ხსენებაზე სააკაშვილს ტანში აჟრჟოლებს. ეტყობა, ეს ვერ გაითვალისწინა მოსკოველმა ცნობილმა ტელეწამყვანმა თინა კანდელაკმა და თავის ბლოგზე საქართველოს პრეზიდენტის „საამებლად“ მისი ფოტოების მთელი სერია გამოაქვეყნა. **ამ ფოტოებიდან ირკვევა, რომ საკუთარ ქვეყანაში ხელგაშლილობასა და ღორმუცელობას ჩვეული სააკაშვილი კომფორტს თურმე არც საზღვარგარეთის ძვირადღირებულ სასტუმროებსა და სანატორიუმებში იკლებს. ამჯერად მან წაგებული არჩევნების მაღარიჩ-ქეიფებში აკრებილი ზედმეტი კალორიების განდევნა იტალიის ქალაქ მერანოში სანატორიუმ „ესპას ანრი შენოში“ განიზრახა და შესანიშნავადაც მოახერხა იმ პროგრამის წყალობით, რომელსაც ხსენებული დაწესებულება დამსვენებლებს სთავაზობს.**

როგორ ფიქრობთ, ღატაკი ქვეყნის მილიარდელ პრეზიდენტს რამდენი დაუჯდებოდა ფეშენებლური ევროპული სანატორიუმის მომსახურება? თქვენ წარმოიდგინეთ, მაინც და მაინც იმდენი არაფერი, რომ საქართველოს ბიუჯეტს მისი გადახდა გასჭირვებოდა. თინა კანდელაკის მონაცემებით, **ორსაწოლიანი ლუქსი, რომელშიც სააკაშვილი ნებივრობდა, ერთი დღე-ღამის განმავლობაში 1350 ევრო ღირს, ხოლო გამაჯანსაღებელი ექვსდღიანი პროგრამა, რომელიც მოიცავს დიეტას (გასახდომად და ტოქსინების გამოსაყოფად), ანალიზებსა და ენერგეტიკულ მასაჟს, — სულ რაღაც 2860 ევრო. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი პრეზიდენტის მოკრძალებულობასა და მომჭირნე ხასიათს, არა მგონია ამდენი ღორმუცელობისა და თევზის უმად („სუშის“) ხრამუნის შემდეგ უარი ეთქვა მუცლისა და ტერფების მასაჟზეც, რომელთა მისაღებად, ჰა, ჰა, 120 ევრო (თითოეულზე) დაეხარჯა!**

არა, ამ ბოლო პერიოდში (განსაკუთრებით წაგებული არჩევნების შემდეგ) სააკაშვილი აშკარად ხელმოჭერილი რომ გახდა, ამას ყველა ხედავს და აღიარებს. პრეზიდენტად აღზევების ხანაში არ გახსოვთ რა ამბავში იყო? — სპეციალური რეისით ამერიკაში აგზავნიდა თვითმფრინათვს და „დილიხორის“ გასასწორებლად იქიდან ჩამოყავდა მსოფლიოში აღიარებული „პრიმასაჟისტკა“. რა შედარებაა მაშინდელ სააკაშვილსა და ახლანდელს შორის. ბიძინა ივანიშვილის „ახირებას“ რა ვუთხარი (მომჭირნეობის მიზნით სასახლეში დენიც კი გამოურთო), თორემ პრეზიდენტი სააკაშვილი იტალიაში, გნებავთ, მეზობელ თურქეთში, წონის დასაკლებად და მასაჟის გასაკეთებლად საკუთარი ფეხით წამსვლელი იყო?



რატომ საკუთარი ფეხითო? — იკითხავს თინა კანდელაკი. მისი ანგარიშით, **გარდა იმისა, რომ სააკაშვილმა სანატორიუმ „ესპას ანრი შენოში“ 15 ათასი ევრო გადაიხადა, პლუს 100 ათასი დოლარი კიდევ მისი თვითმფრინავით მგზავრობა დაჯდა. ჟურნალისტის განცხადებით, დასახელებული თანხები პრეზიდენტის მოკრძალებულ შემოსავალთან კორელაციაში არ მოდის — სააკაშვილის ხელფასი ხომ თვეში მხოლოდ 4720 ლარს შეადგენს. გამოდის, რომ ჩვენმა მომჭირნე პრეზიდენტმა ერთკვირიან ტკბობაში ნახევარი წლის ხელფასი დახარჯა, ხოლო ფრენა წლიურ შემოსავალზე სამჯერ მეტი დაუჯდა(!).**

ამ ციფრების შეჯერებით უფრო „შთამბეჭდავი“ დასკვნის გაკეთებაც შეიძლება. სააკაშვილი ხომ იმ „შთამბეჭდავი ქვეყნის“ პრეზიდენტია, რომლის მოსახლების 36,5 პროცენტი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს, ხოლო საშუალო ხელფასი 678 ლარს არ აღემატება. გამოდის, რომ ამ ქვეყნის რიგითმა მოქალაქემ უნდა იმუშაოს ზუსტად 45 წელი იმისათვის, რომ ხსენებულ კურორტზე ერთი კვირით დაისვენოს.

ამ კოშმარულ განცდაში რომ ვიყავით, უცებ ტელევიზორში გამოგვეცხადა და დამძიმებული განწყობა გაგვიხალისა პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ, რომელმაც გვაუწყა, რომ **„მიხეილ სააკაშვილი იტალიის სანატორიუმში მხოლოდ ერთი დღით იმყოფებოდა და ისიც სამედიცინო გამოკვლევის მიზნით“**. იქვე დაამატა, რომ პრეზრიდენტი ჯანმრთელია და არავითარ მკურნალობას არ საჭიროებს, და არც ბიუჯეტიდან დახმარებას. **„იმ სანატორიუმში ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არაა დახარჯული. ეს იყო პრეზიდენტის პირადი თანხები“** — დაგვამშვიდა პრეზიდენტის პრესსპიკერმა.

კიდევ კარგი მანანა მანჯგალაძემ იყოჩაღა და „სიმართლეში“ გაგვარკვია, თორემ ხომ შეიძლებოდა „მერანოს ზღაპარი“ დაგვეჯერებინა? ეგ კი არა, ამ „მეზღაპრეებს“ უნდოდათ, იმაშიც დავერწმუნებინეთ, რომ პრეზიდენტმა ამ ცოტა ხნის წინათ ამერიკაში ბოტოქსი გაიკეთა. ვთქვათ ასეც იყო, ცნობილი მოდელები და მოდას აყოლილი კახპები ბოტოქსს წარამარა იკეთებენ და სააკაშვილმა, რომელსაც წინასაარჩევნო გამოსვლებით ყბები გადააცვდა, ბოტოქსით ცხვირ-პირი რომ გაიხალისოს ვითომ ამით ქვეყანა დაიქცევა? ან კიდევ, თავის დროზე მერანოში დასასვენებლად პეტრე პირველი თუ დადიოდა, თანამედროვეობის შუქურა პრეზიდენტს ამ სიკეთით სარგებლობა ვითომ რატომ ეკრძალება?

ამ ყველაფერს, ბატონებო, თქმა და განმარტება უნდა და, ვფიქრობ, საამისოდ მარტო მანანა მანჯგალაძის „განმარტება“ არ კმარა. მართალია სააკაშვილს, როგორც თვითონ აცხადებს და საერთაშორისო თანამეგობრობას არწმუნებს, ორხელისუფლებიანობის პერიოდში არაადამიანური ჯაფა აწევს, მაგრამ ის მოვალეა, ამ გაჭირვების ჟამსაც გამონახოს დრო და პრესითა და ტელევიზიით გაავრცელოს ცნობა იმის შესახებ, რომ ხმები პრეზიდენტ სააკაშვილის გადაჭარბებული ხელგაშლილობის, ღორმუცელობისა და თავქარიანობის შესახებ გადაჭარბებული და მეტისმეტად გაზვიადებულია, შეიძლება საქართველოში ასეთი გმნმარტება ბევრს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ სამაგიეროდ პოზიტიურად იმოქმედებს უცხოურ დემოკრატიულ ინსიტუტებზე, სადაც მას ჯერ კიდევ „გამსვლელი პაიკის“ პოზიცია აქვს.

**ბატონო პრეზიდენტო, იჩქარეთ, თორემ ხომ ხედავთ, თქვენს საიმპიჩმენტოდ ხალხი უკვე ხელმოწერებს აგროვებს!**

**ოთარ ხუციშვილი**

## თვითმმართველობა

# გურჯაანში ვითარება აირია

**როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი ჯერ კიდევ ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ ამ პოსტის დასაკავებლად უკვე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ადგილობრივი დეპუტატები. როგორც ირკვევა, მუნიციპალიტეტში შეიქმნა ახალი ფრაქცია „ქართული ოცნება — რესპუბლიკელები“. მართალია, ის ჯერ არ არის დარეგისტრირებული, მაგრამ ეს მალე მოხდება.**

საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს ცნობას „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ აქტივისტზე დავით ნიკოლაიშვილზე დაყრდნობით, რომ ახალ ფრაქციას სურს გამგებლად თავისი ფრაქციის წევრის ზვიად ყვირალაშვილის გაყვანა. კოალიციის წევრები იმასაც აცხადებენ, რომ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ ხელდასხმითაა შექმნილი. მას კურირებას უწევენ გუბერნატორის მოადგილე გიორგი სიბაშვილი და ყოფილი გუბერნატორი, ამჟამად პარლამენტარი გიორგი ღვინიაშვილი. ამაში ჩარეული იყო ყოფილი პროკურორი გელა ლაზაშვილიც.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წევრი მიხეილ ფურცელაძე აპროტესტებს ფრაქციის შექმნას. მას სამარცხვინოდ მიაჩნია ზოგიერთ გაურკვეველი წარსულის მქონე პირთან დგომა და თანამოაზრეებს მოუწოდებს, გაემიჯნონ ამ ხალხს, რათა არ შეარცხვინონ „ქართული ოცნებისა“ და „რესპუბლიკელების“ სახელი.

აქვე ცნობილი ხდება, რომ მიხეილ ფურცელაძეს თავად აქვს პრეტენზია რაიონის მუნიციპალიტეტის გამგებლობაზე.

ახლად შექმნილ ფრაქციას გურჯაანის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე სირბილაშვილიც შეუერთდა. ოფიციალური ინფორმაციით, ახალ ფრაქციას ნაციონალური მოძრაობის 3 დეპუტატი შეუერთდა. ფრაქციას დაემატნენ რამდენიმე სოფლიდან არჩეულნიც.

კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე გიორგი სიბაშვილი უარყოფს როგორც ფრაქციასთან რაიმე კონტაქტს, ასევე, საერთოდ, საკრებულოს საქმიანობაში ჩარევის მცდელობასაც კი.

**ზაზა ბილიხოძე**

## ინფორმაცია

# ახმეტაში სტალინის ძეგლი დააბრუნეს

**ახმეტის ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სოფელ ზემო ალვანში სტალინის ძეგლი დააბრუნეს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს სოფელ ზემო ალვანის რწმუნებულმა დავით ქააძემ განუცხადა, ძეგლი ჯერ შეფუთულია და მისი გახსნა რამდენიმე დღეში იგეგმება.**

„გუშინ, დილით რომ გამოვედი სოფელში, დავინახე, რომ სტალინის ძეგლი აღდგენილი იყო, მაგრამ ჯერ შეფუთულია. ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს, საქმის კურსში არ ვიყავი. ვისი ინიციტივა იყო, ვინ აღადგინა, არაფერი ვიცი. მე ძეგლის აღდგენის მომხრე ვიყავი. ასეა თუ ისეა, ისტორიაა. მის დემონტაჟს მხარს არ ვუჭერდი. ეს იყო დავალება. ვისი დავალება იყო, არ ვიცი. ღამე მოვიდა მანქანა და ძეგლი მოხსნეს. მე უბრალოდ ვესწრებოდი ამ პროცესს, რომ ძალიან არ დაზიანებულიყო. ძეგლი ამ დრომდე ერთ-ერთ ინდმეწარმესთან ინახებოდა,“ — აღნიშნა დავით ქააძემ.

ახმეტის საკრებულოს თავმჯდომარის ზაქარია ქინქლაძის თქმით, სტალინის ძეგლის აღდგენის თაობაზე საკრებულო საქმის კურსში არ არის, თუმცა ამ ფაქტს მიესალმება.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ძეგლი ახმეტის გამგეობამ აღადგინა. გამგებელი ბექა ბაიდაური, რომელიც ამ თანამდებობაზე



რამდენიმე დღის წინ დაინიშნა, კომენტარს არ აკეთებს. ზემო ალვანში სტალინის ძეგლი 2011 წლის 16 ივნისს აიღეს. დემონტაჟი დაახლოებით 1 საათს გაგრძელდა. სტალინის ძეგლის აღების შესახებ ზემო ალვანის მცხოვრებნი ინფორმირებულები არ იყვნენ. მათ ძეგლის დემონტაჟის შესახებ დილით შეიტყვეს, როცა ძეგლი ადგილზე აღარ დახვდათ. ახმეტის მუნიციპალიტეტის მაშინდელი გამგებელი კობა მაისურაძე და საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე მაილაშვილი აცხადებდნენ, რომ ძეგლის დემონტაჟის შესახებ საქმის კურსში არ იყვნენ.

შეგახსენებთ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახმეტას ახალი ადგილობრივი ხელისუფლება ჰყავს.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com



# აუცილებელია ენის პოლიცია!

**„ჭირი დაუმალავი სჯობიაო“. ეს ჭირიც ჩვენი ძველი ნაცნობია, თითქმის ნაჩვევი და გაშინაურებული. ქართული ენის ამღვრევისა და დამახინჯების შესახებ მოგახსენებთ. ყველას ბავშვობიდანვე გვახსოვს ამ საგანზე ჩივილი და ზრუნვა, მაგრამ ჩვენი დასნეულებული ქართული ენა ფეხზე წამოდგომისა და დაწმენდის მაგიერ უარესად დაავადდა და ატალახდა. ცოტაოდენი ცოდნა ენის კანონებისა სავალდებულოდ აღარავის მიაჩნია. დაუგდეთ ყური ამ ხალხის ენას: ნამდვილი ვოლაპიუკი, ჟარგონი, უშნოდ ნარევი და ნამყნობი, უმგვანო. ამ ჯურის ხალხმა ხეირიანად არც ქართული იცის, არც რუსული, თვითონვე რომ შეიგნონ თავიანთი უენობა და მოისმინონ თავიანთი რუსულ-ქართული, ან სულ დამუნჯდებოდნენ, ან თავიდანვე დაიწყებდნენ ენის შესწავლას. უცებ რომ ჩვენმა წინაპრებმა წამოიწიონ და ყური უგდონ დღევანდელ ქართულს, ნებაყოფლობით უკანვე ჩასცვივდებიან საფლავებში. ნელ-ნელა მარხავენ ჩვენი ხალხის ცოცხალ ენას — მეტად მდიდარს, მოქნილს, ფერადსა და ხმოვანს“,** — წერდა მიხეილ ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1924 წელს. თითქმის საუკუნე გავიდა მას შემდეგ და შეიცვალა რამე?! — მხოლოდ ერთი — რუსული ენა ინგლისურმა ჩაანაცვლა!

**ენა ერის ფსიქოლოგიის, მისი სულიერი და ინტელექტუალური საწყისის, მისი მენტალობის გამომხატველია. აშკარაა, რომ ენის წიაღში ბევრი რამ საიდუმლო იმალება, ენა აძლევს პიროვნებას სტატუსს, განასხვავებს ამ სამყაროში ყველა სხვა არსებისგან, ენა ადამიანს ღმერთთან აკავშირებს, მარადიულობასთან წილნაყარს ხდის**. ენის წიაღში დაცულია ღვთაებრივი ენერგია, რომელიც სხვადასხვა დროს ამოხეთქავს, როგორც განსაკუთრებული ფენომენი პოეტურ სიტყვაში გამოვლენილი თუ მეცნიერულ აზრში გაცხადებული. ენა თავად ქმნის რეალობას და ამ სინამდვილის მოწმედ გხდის. ენის განცდა საკუთარი თავის შემეცნებას უკავშირდება, ამ გზით კი პირველხატს, უზენაესს მივეახლებით. მეტყველება — ესაა შინაგანის გამოვლენა გარეთ თავისი ავ-კარგით. ამიტომ ადამიანის საუბრის მანერა ხშირად წარმოაჩენს მის ფსიქო-ემოციურ სამყაროს, ხასიათს, ბუნებას, სულიერობას. სიტყვას აქვს დიდი ძალა, იგი აღიქმება, როგორც სიმბოლო, როგორც ხატი. სიტყვა ქმედითი ფენომენია, საქმეს უდრის. ერთმა სიტყვამ შეიძლება გაცხონოს ან წარგწყმიდოს. ჯვარზე გაკრულმა ავაზაკმა სიკვდილის ჟამს აღიარა ქრისტე და კაცთაგან პირველი შევიდა სასუფეველში. თავად მაცხოვარი ასე გვაფრთხილებს: „სიტყუათა შენთაგან განმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“.ენა ღვთაებრივი საუნჯეა — როგორც ბრძანა წმ. ილია მართალმა (ჭავჭავაძემ) — და მაგას კაცი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოს!

**ჩვენს რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე დროში ყოველგვარი სულიერი ფასეულობის დევალვაცია მოხდა, აღარაფერი შემოგვრჩა მშვენიერი და ამაღლებული, „ენაი შემკული და კურთხეული“ (როგორც იტყოდა იოანე-ზოსიმე) ქუჩური, ჟარგონული გახდა. ყველგან დამახინჯებულ, შერყვნილ და წაბილწულ ქართულს ვუსმენთ. ქვეყანაში ტოტალური უგულებელყოფითი დამოკიდებულებაა ენისადმი, სიტყვისადმი, აღარსად ისმის „საამური ქართული სიტყვა“ (ილია), ვერც თანამედროვე ქართულმა მწერლობამ და ვერც თეატრმა ფეხზე ვერ წამოაყენეს ქართული ენა, მთელი თავისი მშვენებითა და სიმდიდრით.**

ერისა და პიროვნების კულტურა განიზომება მეტყველების კულტურის ხარისხითაც და, როცა ზეპირმეტყველების კულტურა დაეცემა, ეს აზროვნების დაბალი დონის მანიშნებელიცაა, რადგან აზროვნება და მეტყველება ერთმანეთისგან განუყოფელია. ვინ ვართ ჩვენ დღეს? — საკუთარი დედის მაგინებელი, ბილწსიტყვაობის უმძიმეს ცოდვაში ჩარჩენილი ერი! მეტი სასჯელი და უბედურება რაღა უნდა იყოს! ამიტომ წერდა თავის დროზე სულით შეძრული პოეტი ანა კალანდაძე: **„ბილწსიტყვაობას ქვეყნისთვის ნარკომანიაზე არანაკლები ზიანის მოტანა შეუძლია“.**

უცნაურ დროში ვცხოვრობთ. პარადოქსია, რადგან, ერთი მხრივ, მშობლიურ ენას სკოლებში კარგი სახელმძღვანელოებით ასწავლიან, ყურადღება ექცევა პრაქტიკულ გრამატიკას, მართლწერის საკითხებს, მერე მისაღებ გამოცდებზედაც საკმაოდ მაღალი მოთხოვნებია ამ მხრივ, უმაღლეს სასწავლებლებშიც ისწავლება აკადემიური წერა თუ სტილისტიკა, მაგრამ საშველი მაინც არ დაგვადგა. რატომ? — **უწიგნური თაობა მოდის, რომლის ცოდნა მხოლოდ ინფორმაციულია, შესაბამისად — ზედაპირული, არც სიღრმე და არც ფიქრის ანარეკლი ჩანს. ახალგაზრდები თუ სწავლობენ, მხოლოდ გამოცდამდე მოაქვთ ცოდნა და ცხოვრებაში გამართული ქართულით საუბრის სურვილი არა აქვთ, ვერც უფროსი თაობისგან იღებენ პიროვნულ მაგალითს და ასე ჯადოსნურ წრეში ვტრიალებთ.** არა მგონია, უცხო ენის მოძალება ამ შემთხვევაში იყოს განმსაზღვრელი ფაქტორი. რასაკვირველია, ამდენი უცხო სიტყვა, რომლებიც ასე მოეძალა ენას, სერიოზულ პრობლემას ქმნის, თუმცა არაქართული ინტონაციებით საუბარი, გადაპრანჭული და ბუნდოვანი ქართული ერთდროულად იმის მანიშნებელიცაა, რომ ფეხის ხმას აყოლილი და თანაც შინაგანი არასრულფასოვნების კომპლექსის მსხვერპლნიც ვართ. წერა და აზროვნება ერთი მთლიანი პროცესია, ლოგიკა კი დიდი ხანია, აღარ გვაქვს არაფერში.

ხშირად იცვლება სიტყვის სტანდარტი, ჟურნალისტების ზეპირმეტყველება სწრაფი, აგრესიული, არაბუნებრივი, გაუმართავი და ღარიბია. რაც დრო გადის, ვშორდებით ბუნებრივ ქართულს, დარბაისლურ მეტყველებას. მასმედიაში გაქრა ჟანრები, ყველაფერს ერთნაირი ქართულით გვიყვებიან, ინფორმაციის ენა აღარაფრით განსხვავდება რეპორტაჟის ან მოწინავე სტატიის ენისაგან. რადგან ასეთი გაუბრალოებული და ერთგვაროვანია ყველაფერი, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ენა, ზოგადად, ველარ ვითარდება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა საგანგაშოა!

**ყველაზე უარყოფითი გავლენა თაობაზე მაინც ტელევიზიამ მოახდინა, მან ინდივიდუალურობა წაართვა და დაუკარგა ჩვენს მომავალს.** ხშირად მინატრია, ვიცხოვრო იმ ქვეყანაში, რომელშიც არ არის ტელეისტერია და რადიოს უფრო მეტი მსმენელი ჰყავს. ჯერ ერთი, **ამდენი გაყალბებული, არაფრისმთქმელი, უნიჭო და უკულტურო სახის ყურება; მათი ცხოვრების წესის „გაპიარება“ და ვითომ კომპეტენტური აზრების ფრქვევა უკვე ვერანაირ კრიტიკას ველარ უძლებს, ამდენი გასართობი შოუპროგრამა და მათი ტაკიმასხარა წამყვანები, რომლებასაც არც ესთეტიკა აქვთ და არც სამყაროში ორიენტაცია შეუძლიათ, მათი ვითომ „სვეტური“ დამოკიდებულება ცხოვრების მიმართ მხოლოდ პოპულარობის სინდრომით შეპყრობილი ადამიანების უსუსურ ბორგვას მაგონებს. მერე სკანდალებზე აგებული გადაცემები, სენსაციებზე, ერთობ პიკანტურსა და ინტიმურ თემებზე დასმული აქცენტები, რომელი ერთი ჩამოვთვალო... თანაც როგორ ენაზე მოსაუბრე არხები: ფანტასტიური; ვსვავ; ვდგავ; რამოდენიმე; ლირიული; ეროტიული; დინამიური; მე რას ვიძახი, რო; ძაან მაგარი; მადლობა მინდა მოგიხადოთ; ბევრი პრობლემები; ცნობადი სახეები; კითხვადი წიგნები; ყურებადი გადაცემები...** სამწუხაროდ, ქალაქურობადაა მიჩნეული უცხო სიტყვების სპეციფიკური პრონონსით წარმოთქმა, წამღერებითი ინტონაციის მოძალება, არაბუნებრივი მახვილები. **თბილისელობა სკაბრეზულობასაც კარგად ირგებს და მივიღეთ დღევანდელი მეტყველება — უვიცობისა და უწიგნურობა-უკულტურობის გამომხატველი ვერბალური ნონსენსი!**

მცირე ერების წინაშე ყოველთვის დგას ენის სიწმინდის საკითხი. ამიტომ ჯერ კიდევ 1921 წელს შეიქმნა ტერმინოლოგიათა შემმუშავებელი სამეცნიერო საბჭო (ხელმძღვანელი ივ. ჯავახიშვილი), 1934 წელს ჩამოყალიბდა სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია, 1946 წელს — ნორმათა დამდგენი კომისია (ხელმძღვანელობდნენ ჯერ ს. ჯანაშია, შემდეგ — ა. შანიძე), 1953 წელს საფუძველი ჩაეყარა სალიტერატურო ნორმათა დამდგენ მუდმივ კომისიას, 1998 წელს ჩამოყალიბდა ენის სახელმწიფო პალატა.

რით დავიწყოთ?

**უპირველესად, უნდა აღდგეს საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა, როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც ჯერ კიდევ 2004 წლის ოქტომბერში ვარდების რევოლუციის დამანგრეველ რეფორმებს შეეწირა.**

ენის სახელმწიფო პალატა იყო მაკონტროლებელი ორგანო. მისი უფლებამოსილება ვრცელდებოდა ყველა იურიდიულ პირზე — სახელმწიფოსა და არასახელმწიფოზე და ის აკონტროლებდა ყველა უწყებაში სახელმწიფო ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვას. რატომ უნდა გასჩენოდა ადამიანს ასეთი სტრუქტურის დანგრევის სურვილი, თუ არ იყო მიზანმიმართული პოლიტიკა ეროვნული ფასეულობებისა და ღირებულებების წინააღმდეგ?! სახელმწიფომ უარი თქვა „ენის პოლიციაზე“, სამაგიეროდ, პოლიციური რეჟიმის მშენებლობას შეუდგა.

მთელი სამყარო ხომ ენაში და ენით არსებობს! ერი უკვდავია მხოლოდ მაშინ, თუ ის მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს. ახლა ჩვენ თვალწინ ირღვევა ქართული ენის სტრუქტურა, სინტაქსი.

**მტერობა ენის არს მტერობა ქვეყნის — ილია**

**რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს — გრიგოლ ორბელიანი**

**ნებისმიერ ხელისუფლებას უნდა ახსოვდეს, რომ ქართული ენა ქართველთა ერთობისა და ქართული სახელმწიფოს ძლიერების საფუძველია, ამიტომ მისი სწავლება სავალდებულო უნდა იყოს ყველა ეტაპზე და მის სიწმინდეს, მთელ ერთან ერთად, უნდა იცავდეს სპეციალური ორგანო!**

მარტინ ჰაიდეგერმა ადამიანი ასე განსაზღვრა — **მე ვარ ის, რასაც ვლაპარაკობ!**

**დღეს, სხვა გლობალური პროცესების პარალელურად, შეიცვალა ენობრივი გარემოც. ღია საინფორმაციო სივრცე და ინტენსიური ურთიერთობები უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ენის ფორმირებაზე, სწორედ ამიტომ უნდა არსებობდეს „ენის პოლიცია“, რომელიც დაიცავს მას გარეშე აგრესიისგან, რომელიც გააკონტროლებს ენობრივ პოლიტიკას ქვეყანაში. იმედი მაქვს, რომ ახალ ხელისუფლებას ეყოფა კეთილგონიერება და, სხვა ბევრ დანგრეულთან ერთად, ენის სახელმწიფო პალატასაც აღადგენს!**

**საბა მეტრეველი**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ალიან-ჩალიანი

# კარგად უნდა აიწონ-დაიწონოსო



**— კრემლიდან სტალინის საფლავის გადატანის საკითხი კარგად უნდა აიწონ-დაიწონოს, — განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის პრემიერ-მინისტრმა დიმიტრი მედვედევმა.**

**— იოლია, აქო ტირანია, როდესაც ცხოვრობ გახსნილ ქვეყანაში, როდესაც იცი, რომ ღამე სახლში არ დაგადგებიან თავზე. თუმცა, მიუხედავად ამისა, საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ქვეყნის მართვის ეფექტური მეთოდია. როგორი უარყოფითი პოზიციაც არ უნდა მქონდეს სტალინთან მიმართებაში, არ შემიძლია არ დავინახო, რა ხდებოდა ქვეყანაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ასევე, არ დავინახო ის დამსახურება, რაც ქვეყნის პოლიტიკურმა მმართველებმა მიიღეს, მაგალითად, სამამულო ომში. ომი მოიგო არა მხოლოდ ხალხმა, არამედ ქვეყნის ხელისუფლებამაც, — განაცხადა მედვედევმა.**

**მისი თქმით, სანამ სტალინის ნეშტის გადასვენების გადაწყვეტილება მიიღება, უნდა მოხდეს ძალიან ბევრი ნიუანსის გათვალისწინება.**

**— ყველანაირი მოქმედება უნდა განხორციელდეს როგორც კანონის, ასევე ადამიანური ტაქტის ელემენტარული დაცვით. ეს ეხება არა მხოლოდ სტალინის, არამედ დაწყებული ლენინიდან, დამთავრებული იმ მმართველებით, რომლებიც კრემლის კედლებში განისვენებენ, — განაცხადა მედვედევმა.**

**მისი თქმით, საბოლოო გადაწყვეტილება ისეთი უნდა იყოს, რომ ამან არ გამოიწვიოს ადამიანების დაპირისპირება.**

**— თუმცა, არის მეორე მომენტიც. ნებისმიერი ადამიანის საფლავი კანონით დაცულია. ისე გამოვიდა, რომ ეს საფლავი არის ქვეყნის ცენტრში. თუ გადასვენების გადაწყვეტილებას მივიღებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რა მოვუხერხოთ სხვა საფლავებსაც. ჩვენ ხომ ვერ დავიწყებთ იმაზე საუბარს, რომ ეს ცუდი იყო და უნდა გადავასვენოთ, ამას კი არა უშავდა რა და მოდი დავტოვოთ, — განაცხადა მედვედევმა.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსხელმძღვანელი: ელჩები ივანიშვილის წინააღმდეგ მუშაობენ

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილმა ხელმძღვანელმა სალომე ზურაბიშვილმა ორშაბათს განაცხადა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ სასწრაფოდ უნდა შეცვალოს ელჩები, რომლებიც უცხოეთში კვლავ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილსა და მის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ემსახურებიან, გადმოგვცემს ჩვენი კორესპონდენტი თბილისიდან.**

დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებულ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგო სტატიებთან დაკავშირებით ზურაბიშვილი ამბობს, რომ „ნაციონალები“ ქირაობენ სულ ახალ-ახალ ლობისტებს, აგრეთვე იყენებენ ელჩებს, რათა „ეჭვქვეშ დააყენონ ახალი ხელისუფლების დემოკრატიულობა“.

„რატომ არავინ უხსნის პრემიერს, რომ სასწრაფოდ უნდა შეცვალოს ძველი ელჩები, რაც საჭიროა უცხოეთში მისი პიროვნებისა და პოლიტიკის სათანადო დონეზე წარმოჩენისთვის?“, — განაცხადა მან.

„ეს არის დანიშვნა თუ დივერსია?“, — ასეთ კითხვას სვამს თავის გვერდში სოციალურ ქსელში სალომე ზურაბიშვილი.

ჯერჯერობით ახალმა ხელისუფლებამ გაათავისუფლა მხოლოდ ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში და მუდმივი წარმომადგენელი გაეროში, წარუდგინოს პარლამენტს ელჩები — ამის პრეროგატივა პრეზიდენტს ეკუთვნის.

როგორც ჩვენი გაზეთი იუწყებოდა, გადაწყვეტილება, გაათავისუფლონ ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს ელჩი, მიღებული იქნა 8 ნოემბერს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ მაშინ სააგენტო „პირველს“ განუცხადა, რომ უკვე ესაუბრა ამ დიპლომატს, აცნობა მას, რომ ერთობლივი მუშაობა არასასურველია, ვინაიდან იაკობაშვილი „მთლიანად იზიარებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოზიციას“.

აღვნიშნავთ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გადაადგილების დროს მინისტრის მოადგილის პოსტი დატოვა სერგი კაპანაძემ, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა რუსეთთან ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებით. საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გახდა ბელარუსში ექსელჩი დავით ზალკანიანი.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გახსნა საქმე ყოფილ ხელმძღვანელზე

## პრეზიდენტ სააკაშვილის უახლოეს თანამებრძოლს დაპატიმრება ემუქრება

**საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და პრემიერ ბიძინა ივანიშვილის დაპირისპირებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ახალმა ხელისუფლებამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელს ვანო მერაბიშვილს ბრალი დასდო სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებაში — უახლოეს პერიოდში მას გამოიძახებენ დაკითხვაზე, რაც შეიძლება პრეზიდენტის უახლოესი თანამებრძოლის დაპატიმრებით დამთავრდეს. ექსპერტები დარწმუნებული არიან: ამ შემთხვევაში მიხეილ სააკაშვილი წავა უკიდურეს ზომებზე — თვით მთავრობის გადადგომამდეც კი.**



ვანო მერაბიშვილისადმი ინტერესი საქართველოს ახალ ხელისუფლებას გაუჩნდა 2006 წელს ბანკირ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამოძიების მსვლელობაში — იგი, ისევე როგორც ბევრი სხვა გახმაურებული საქმე მიხეილ სააკაშვილის ეპოქისა, გადაეცა ახალი გამოძიებისთვის. 2006 წლის 28 იანვარს გაერთიანებული ქართული ბანკის 28 წლის თანამშრომელი მივიდა თბილისის ბარ „შარდენში“, სადაც იმყოფებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონსტიტუციო უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი დათა ახალაია, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა მაღალი რანგის ჩინოსნები, აგრეთვე მინისტრის მეუღლე თაკო სალაყაია. როდესაც იმავე მაგიდაზე თავისი ნაცნობი ქალი დაინახა, ბატონი გირგვლიანი გაცოფდა, წაეჩხუბა შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებს, ბარიდან გამოსვლის შემდეგ კი ჩაერთო პოლიციელებთან დავაში. მათ ბანკირი წაიყვანეს ტყეში და სასტიკად სცემეს, გირგვლიანი დაზიანებებისგან გარდაიცვალა. უშუალო მწამებლები დააპატიმრეს, მათ განაცხადეს, რომ გაიტაცეს გირგვლიანი საკუთარი ინიციატივით. დამნაშავეებს მიუსაჯეს სხვადასხვა ვადები, მაგრამ სამი წლის შემდეგ პრეზიდენტმა ისინი შეიწყალა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის უახლოესი გარემოცვის წევრები, რომლებიც ასევე საქმეში გადიოდნენ, გაათავისუფლეს თანამდებობიდან, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ფორმალურად.

„გამოირკვა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება დათა ახალაიას გათავისუფლების შესახებ ცრუ ხასიათს ატარებდა, — განაცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა. — სინამდვილეში მინისტრი ნებას აძლევდა ახალაიას, ფაქტობრივად ეხელმძღვანელა დეპარტამენტისთვის. ის აჭარბებდა და ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებებს“.

ახალაია იმალება ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი არ არის ახალი გამოძიების მიზანი. როგორც ქალბატონმა გიორგობიანმა განმარტა, რამდენადაც საქმე შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ ხელმძღვანელს, მასალები გადაეგზავნება პროკურატურას. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი — „სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება“ — ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას რვა წლამდე. მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა არ გამორიცხა, რომ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, რომელიც ამჟამად პროპრეზიდენტულ პარტია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ უდგას სათავეში, მალე გამოიძახებენ დაკითხვაზე.

ვანო მერაბიშვილის დაკითხვა და დაპატიმრება შეიძლება გახდეს წითელი ხაზი, რომლის გადაკვეთის შემდეგაც ბიძინა ივანიშვილის მთავრობა ეწევა რისკს — გამოიწვიოს პრეზიდენტ სააკაშვილის მკაცრი რეაქციის პროვოცირება.

„ვანო პრეზიდენტის უახლოესი თანამებრძოლია. მან მის შესახებ ყველაფერი იცის, — განმარტა ჩვენთან საუბარში ერთ-ერთი სააგენტოს ექსპერტმა ნიკა იმნაიშვილმა. — მისი დაპატიმრება იქნება სააკაშვილის გუნდის სრული განადგურების მცდელობა, და თვითგადარჩენის მიზნით პრეზიდენტს შეუძლია გადააყენოს მთავრობა“. კონსტიტუციის თანახმად სახელმწიფოს მეთაურს ასეთი უფლება აქვს.

ამჟამად სიტუაცია საქართველოში დაძაბულია უკიდურესობამდე. მიხეილ სააკაშვილი უკვე გამოვიდა საგანგებო მიმართვით ერისადმი, გააფრთხილა იგი დაპირისპირების საფრთხის შესახებ. მანამდე ცოტა ხნით ადრე, ბიძინა ივანიშვილმა გამოთქვა ვარაუდი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდელი შემცირების შესაძლებლობის შესახებ — „საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში უკვე მომავალი წლის დასაწყისში“.

Коммерсантъ

# დედამიწის ზურგზე

## ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეჰუდ ბარაქმა „ღრუბლის გოდოლის“ ოპერაციის შემდეგ გამოაცხადა გადადგომის შესახებ



ეს ეჰუდ ბარაქის პირველი მცდელობა როდია, წავიდეს პოლიტიკური ცხოვრებიდან. ყოველ შემთხვევაში ამის შესახებ მან განაცხადა 2001 წელს პრემიერ-მინისტრის პირველ ვადამდელ არჩევნებში დამარცხების შემდეგ. მაშინ ბარაქი, რომელმაც უარი განაცხადა თავდაცვის მინისტრის პოსტზე, ექვსი წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს და კონსულტაციას უწევდა ფირმებს. მაგრამ 2007 წელს ის კვლავ დაბრუნდა პოლიტიკაში.

## სირიის ოპოზიციამ ბრალი დასდო ხელისუფლებას ათი ბავშვის მკვლელობაში, რომლებიც მოედანზე კლასტერული ბომბებით თამაშობდნენ

ოპოზიციის მონაცემებით, ბომბები ჩამოყრილი იყო სირიის სამხედრო-საჰაერო ძალების საავიაციო შემოტევის შემდეგ სოფელ დეირ ალ-ასაფირზე. სოფლის მცხოვრებლები ამტკიცებენ, რომ შემოფრენის შემდეგ მათ აღმოაჩინეს დაახლოებით 70 პატარა აუფეთქებელი ჭურვი. ადრე სირიის ხელისუფლება უარყოფდა ასეთი ტიპის საბრძოლო მასალების გამოყენებას.





## „შიშველი მხედარი“, რომელიც შემოაჯდა ბრიტანელი უფლისწულის ძეგლს, უკრაინის მოქალაქე აღმოჩნდა

29 წლის დან მოტრესკუ ძეგლს შემოაჯდა აბსოლუტურად შიშველი, მაგრამ მას წაუყენეს ბრალდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში, იარაღის ტარებასა და ქონების ზიანისთვის. ორშაბათს ბრალდებული წარსდგება სასამართლოს წინაშე. არ არის გამორიცხული, რომ იგი ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გაგზავნონ.

## ჩინეთის ავიაკორპორაციის ხელმძღვანელი გარდაიცვალა ავიამზიდზე თავისი პირმშოს პირველი დაჯდომის დროს

დამმუშავებელს გულმა უმტყუნა. ოკეანის გაღმა კი სულ უფრო და უფრო მეტად ღელავენ: ჩინეთის სამხედრო-საზღვაო სიძლიერე დაასუსტებს ამერიკის შეერთებული შტატების აზიელი მოკავშირეების პოზიციებს. შიში არ არის უნიადაგო — თვითმფრინავის ფიცარნაგზე დასმის უუნარობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავარ დაბრკოლებად ითვლებოდა ქვეყანაში თავისი პირველი ავიამზიდის შემოღების გზაზე.



## მღელვარებამ ეგვიპტეში შეიძლება რუსებს ახალი წლის დღესასწაულები ჩაუშხამოს



საკითხი შეეხება რუსეთის იმ მოქალაქეებს, რომლებიც აპირებენ ახალი წელი გაატარონ ეგვიპტის კურორტებზე. განახლებული პოლიტიკური არეულობისა და საპროტესტო აქციების შემდეგ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეახსენა ტურისტებს ორი წლისწინანდელი თავისი რეკომენდაცია. ამან შეიძლება შეაშინოს დამსვენებელთა ნაწილი და მათ გადადონ ტურისტული ნაკადის აღდგენა, მიაჩნიათ ექსპერტებს.

## ჩინეთში მაღაროში დაღუპულთა რიცხვი 22-მდე გაიზარდა

ამჟამად მხოლოდ ერთი მეშახტე არ არის მოძებნილი. მომხდარის მიზეზებს იკვლევენ, სავარაუდოდ, მაღაროში მოხდა გაზის აფეთქება. ინციდენტი მოხდა შაბათს ქალაქ იუპანშუიში, გუიჯოვის სამხრეთ ჩინეთის პროვინციაში. ავარიის მომენტში მიწისქვეშ 28 მეშახტე იმყოფებოდა, გადაარჩინეს მხოლოდ ხუთი.





## „ჰამასმა“ ისრაელის სამხედრო ოპერაციისგან მიღებული ზარალი 1,245 მილიარდ დოლარად შეაფასა

ღაზის სექტორის კონტროლის მოძრაობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ტახერ ან-ნუნუმ მოიყვანა აგრეთვე დაზუსტებული მონაცემები ადამიანების დანაკარგების შესახებ. მაგალითად, ისრაელთა სამხედრო შეტევების მსხვერპლი გახდა 166 კაცი, დაიჭრა 1235.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

№227. სამშაბათი, 27 ნოემბერი, 2012 წელი.

## თემურ ჩალაბაშვილი

# „გზა არ თავდება დედის ცრემლივით...“



გული და ლექსი „დაცოტავებული“ სამშობლოსთვის შეუწირია... ამ სამშობლოში მისეული სამებაც ამოუტვიფრავს: დედა, წიგნი და ვაზი... ექვსი ათეული წელი სიყვარულით და მონატრებით ამ სამებას ქარგავს, „გული საქართველოს სევდით ნაქარგია“, ცრემლიც პოეტზე ადრე გაჩენილა. აკი ამოთქვამს სევდიანად: „არ დაიჯერებ? ილია ამბობს, რკინაც ტირისო, რომ ცემსო გრდემლი... შენ რაღა მოგდის, პოეტო, ამ დროს, ვის თვალზე ადრე გაგიჩნდა ცრემლი?“

ცრემლი თემურ ჩალაბაშვილის სავიზიტო ბარათია, სინანულია ჩვენი სულში ცრემლად მომწყვდეული ქართველობის, სარწმუნოებისა და დიდი ისტორიის გამო... ოშკო და ხახულო, ცრემლით ნაფერებო, — მიმართავს პოეტი დიდ საქართველოს... „სინანულის ცრემლში დგანან ქართლის მთები“ და განწირული და მდუმარია გოჯი მიწისა.. პოეტისთვის ეს სოფელი — დიდი დაუსრულებელი გზაა, რომელიც დედის ცრემლივით არ მთავრდება... ხოლო, როდესაც ცრემლი გადასწვავს წამწამებს, სული ეცლება ლექსებად და უთქმელი სევდა აწამებს... შესაძლოა, დამარცხდეს ბედთანაც, მაგრამ მუდამ მისი ერთგულნი იქნებიან „ლექსები — ჭირისუფლები“...

თემურ ჩალაბაშვილი სამოცდამეერთე შემოდგომას ამ უთქმელი სევდით ხვდება, პოეტი ხომ მალულ და ამოუხსნელ რაღაცას მუდამ მალავს სულში. „დამეუფლე, როგორც გაზაფხული, შემოდგომის მშვენიერო სევდავ“... — ამბობს ერთ ლექსში. და ეს იუბილეც სიმარტოვიდან სიმარტოვეში შემოდგომის გაზაფხულად დაუფლების ლამაზი სევდა მგონია.

გუშინ საღამოს სწორედ ამაზე იყო საუბარი კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სადაც თემურ ჩალაბაშვილის პოეზიის თაყვანისმცემლებმა სიყვარულითა და მოფერებით მიაგეს პოეტს პატივი..

ქვემოთ გთავაზობთ თემურ ჩალაბაშვილის ორ მინიატიურას და ლექსებს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

### გულქანი – მამაის პირიმზე

**მოგონებებს თავს ვერ ვუყრი, ვაჟას გულქანის ფიქრი ხომ ტკივილიანი მიახლებაა მწერლის დიდ შემოქმედებასთან...**

და აი, ჩემ თვალწინ ცოცხლდება საოცარი ჩარგალი. ეზოში ზის წელში ღრმად მოხრილი, დაპატარავებული, კაფანდარა ქალი, წინდას ქსოვს, გვერდით ფანდური უყუდია. იქვე ხზორები დაკუნტრუშებენ; ქალი თითქოს ძილღვიძილშია, სხვა სიზმრებითაა ალდაკრული. და იღვრება უცნაური, იმისეული, ფშაური მელოდიები. მგონი, მამის ლექსებს ღიღინებს, ხმა უკრთის, ლანდებს უხმობს წარსულიდან, მთებს ელაპარაკება, მამას ეძახის...

მაგონდება ჩარგლის წვიმაგადავლილი შუადღე: ლამარა ჯაფარიძემ ვაჟას „არწივი“ უმღერა გულქანს. უნდა გენახათ, ისედაც პატარა ქალი უფრო დაპატარავდა, თითქოს მთების ცვარნამში გაიბნა, ვაჟას ყვავილების ცრემლებად იქცა. ვინ იცის, რას ფიქრობდა ამ დროს? იქნებ, დიდი მამის ხმა სწვდებოდა მის ყურთასმენას. თავი კალთაში ჩაერგო, მხრების ცახცახზე მიხვდებოდით, რომ ტიროდა. ვინ იცის, რა გაახსენდა, რომელი მოგონება ამოიწვერა მის საოცრად ცინცხალ გონებაში...

ანკი როგორ იტანდა მისი სუსტი მხრები ბუმბერაზი მამის შვილობას, ხშირად მავანთა თვალში, დიდი შემოქმედის შვილი სასაცილოოდ ჩანს ხოლმე. ცოდვა გამხელილი ჯობს, ასეთ ყოფაში იყო გულქანიც. ერთი შეხედვით იფიქრებდით, რომ არას დაგიდევათ სხვის აზრებს, არ ამჟღავნებდა, მაგრამ სინამდვილეში, იტანჯებოდა, იტანჯებოდა და როგორ...

მამისეული ჩარგლიდან ფეხი არ მოუცვლია, რაზიკაანთ ფუძე არ გაუციებია, მამის ხსოვნას ბოლომდე უერთგულა. როგორც იცოდა თქმა: „ნიადაგ ჩარგალს ეყუდა“...ბევრს არც არას საუბრობდა, ყველას არ გაუგულისპასუხებდა. თუ არ მოეწონებოდა ადამიანი, არც დაელაპარაკებოდა.

სიტყვა აწონილი ჰქონდა, ანდა, რა გასაკვირი იყო დიდი ვაჟას ანასხლეტი სხივისაგან. იცოდა, კარგად იცოდა, რას ნიშნავდა დიდი ვაჟას შვილობა.

გულქანი ძუნწად მოლაპარაკე ქალი იყო, აკი გითხარით, ხასიათის ადამიანი გახლდათ „საწყალი“, მამაის ალიკვალი ვარ, — იტყოდა.

ერთხელ საუბარში გამომიტყდა, როგორ ნანობდა, რომ მამაი ვერ დაიტირა, ვერ დაუსველა ცრემლებით ნაამაგარი მხრები. ისიც მომიყვა, როგორ არ უშვებდნენ მამის ცხედართან, ქაშვეთის ეკლესიაში, მის დას მარიამს, რომელიც ახმეტიდან ცხენით ჩამოქარდა თურმე. პოლიცია არ უჯერებდა, რომ ვაჟას ქალიშვილი იყო, ბოლოს უმწეო ქალს აღმოხდენია: „ვაჟას ქალი ვარ, მიმიშვით, საკუთარი მამა მატირეთო“. ძმებზე, ლევანსა და ვახტანგზე, საუბრობდა ხანდახან, როგორც თავად იტყოდა ნებ-ნება.

დავიწყების ბურუსი ვერ დაბინდავს დღეებს, რომლებიც შენში ცოცხლობენ ნიადაგ. იმ შემოდომაზეც გულქანი, ზვიად გამსახურდიასთან ერთად მოვინახულე. იმხანად ცოტა ავადობდა და ცოტაოდენი მოსანახულებელი ავუტანეთ. შამპანურის ბოთლები რომ დაინახა (ვიცოდი, რომ უყვარდა შამპანური, „შამპოს“ ეძახდა), თვალები ეშმაკურად მოჭუტა, გაიღიმა და თავისებურად იხუმრა: ამ შამპოებს ნებანება დავლევ, არას მიზამსო. თან თვალი ზვიადისკენ გააპარა, აინტერესებდა მისი რეაქცია.

საოცარი სანახაობა იყო — ორი დიდი მწერლის შვილი თითქმის უხმოდ, თვალებით ელაპარაკებოდა ერთმანეთს. მაშინ რას გავიფიქრებდი, რომ ეს დღე ბოლო შეხვედრის იქნებოდა! მერე გულქანი აღარ მინახავს...იმ დღეს სხვანაირი ცა იყო ჩარგალში. მომკვდარიყო ვაჟას პირიმზე, მამაის ხატი, ნაბოლარა შვილი, მამაის ობოლი გოგო.

ასაფლავებდნენ გულქანს. ბუნება ტიროდა. როდესაც სოფლის მღვდელმა წესის აგება დაიწყო, ფრინველთაც კი შეწყვიტეს გალობა. გულის მომაკვდინებელი იყო მოძღვრის ბოლო სიტყვები: „ქალო, გულქანო, მიდიხარ, მიდიხარ და მიუხვალ დედას თამარს და მამას ვაჟა-ფშაველას“...

...ეს დღე უცნაური იყო ჩარგალში, ბუნება ტიროდა და მწუხარედ ბუზუნებდა ვაჟას საფლავი მთაწმინდაზე...

* * *

ლექსო, ამოზრდილო ჩემივ სულის აკვიატებული ნისლებიდან, ვერ გაიხარებ, სანამ დაცოტავებული სამშობლო არ გაგიღებს ყრუდ ჩაგმანულ გულის კარს, არ ჩაგიხუტებს, არ ჩაგიგვირისტებს ნახევრად დაკარგულ გრძნობასა და გონებაში..

სიტყვავ, დაბადებულო მიმწუხრის ჟამს, ანუ ჟამსა უჟამოსა...დედაბრის დაღვარჭნილი ხელის მტევანივით დაჭიმულია შენი სულის მფეთქავი ზამბარა, გაწყვეტის პირზეა მისული მოთმინების ვარვარა ჯაჭვი...

გესმის, რა ავისმომასწავებლად ზმუიან სხვისი უღლიდან გამოქცეული, აპეურაწყვეტილი ლაბა-ხარები?!

წინაპართა სამარხებიდან როგორ გულისწამღებად, სმენის დახშობამდე გაჰკივიან აქომამდე საეჭვოდ ენაჩაკმენდილი მიკიოტები!...

საოცარია პირდაპირ, მოყმისა და ვეფხვის ბალადიდან ვეფხვიც რო გამოპარულა დაკარგული სამშობლოს მოსაძებნად...გეყურება? ეს მოყმის დედაა, საბრალო, ასე რომ სტირის გაუთავებლად... თურმე ვეფხვის დედას დაეძებს (სამძიმრის სათქმელად კი არა), დაეძებს, რათა შვილი ლექსში დააბრუნებინოს ისევ. ვეფხვი და ლექსი ხო ერთარსებანი არიან ოდითგან, ორთავენი ხო თითო ნახტომით ჰქმნიდნენ სამშობლოს...

ლექსო, ამოჭიატებულო ჩემივ სულის მწუხარებიდან, მოდი, ნუ დაუჯერებ მოყმის საბრალო, თვალცრემლიან დედას!...

* * *

მზე ისევ მთებზე იგორებს,
ხმალი დაჩნდება ხალთაში...
უფალი კვლავ ჩაიგორებს
თავის გაჩენილს კალთაში...

### არ დამტოვებ

სამოცამდე რა ცოტაღა დამრჩა,
თუმც სიბერე მეჩვენება შორს.
ლექსი ჩემი — ატლასი და ფარჩა —
ძველებურად მოფერებას მთხოვს...
გაწვდილი მაქვს სასიმღეროდ ყელი,
ვინ ჩამაცვა წუთისოფლის თალხი.
მიმტრო — ვისაც ჩამოვართვი ხელი.
არ მჯეროდა: „ჭრელიაო ხალხი“.
მეც მიყვარდა სამშობლო და ერი,
თუმც შემზარა საამქვეყნოდ დრომ.
მე ვტირივარ, მაგრამ მაინც ვმღერი...
არ დამტოვებ, საყვარელო, ხომ?!

* * *

წუთისოფელი წუთია,
კაცის სიცოცხლე — წამი,
ვის ხატად თაფლი უნთია,
ვის — ბალღამი და შხამი.
მიწა ყველასთვის ერთია,
ერთი წვიმა და ქარი.
ვისთვის იუდა ღმერთია,
ვისთვის ქრისტეა მკვდარი...
წუთისოფელი ასეა,
შენც გტანჯავს შენი ხვედრი
გზა ცოდო-ბრალით სავსეა,
ო, დამიფარე, გვედრი!

### დარეჯან ბატიაშვილს

შენი ლექსი ჩემი სულის მალამოა,
შენს საქებრად მინდა ყელი მოვიღერო,
ეგ ბაჯაღლო მაგ გულიდან არ ამოვა
და მეც მინდა მგოსნეულად მოგიმღერო.
საკუთარი მოგიღობავს კარ-მიდამო,
შენი მთა გაქვს, შენი ტყე და ქარაფები,
ეხარბებათ შენი ბედი ამის გამო,
პოეტი ვარ! — ამბობ — მეტი არაფერი.
ვინც დაგკარგა, მან სანაცვლოდ რა იპოვა,
ვის ეძებდი, როცა ბედი კართან გება,
გაფრენილი გრძნობა უკან აღარ მოვა,
მტრიანიც ხარ, რადგან ნიჭი გემტერება.
ყველა ვარდზე უვარდესო, დაო ჩემო,
გაფრენილ წლებს არც ნანობ და კიდეც ნანობ,
ეგ სახელი რა ხანია ავიჩემე —
სხვა ფერების და ლექსების ფიროსმანო.

### სხვა კაცი ხარ, მაესტრო!

**ნოდარ ტაბიძეს**

ლოცავ ქვეყნის მზე და მთვარეს,
არ დაეძებ სხვისეულს...
დახვალ, ღიმილს დაატარებ —
გალაკტიონისეულს...
სხვა სიმართლე დაგებედა,
რას დაგაკლებს ან ეს დრო;
და არ გვიმხელ და ხარ მხნედა,
სხვა კაცი ხარ, მაესტრო.
ჯერაც უთქმელს ეფერები,
გვხიბლავ ენამზიანი,
გტანჯავს საქართველოს მიწა,
მოყვრიანი, მტრიანი.
ლოცავ ქვეყნის მზეს და მთვარეს,
არად აგდებ სხვისეულს...
შენ სხვა ღიმილს დაატარებ —
გალაკტიონისეულს..

### გაგეჯიბრები, სიკვდილო...

**პაპაჩემს – გიორგი ღვედაშვილს**

გაგეჯიბრები, სიკვდილო,
აბა, სად შენ და სად მეო,
მასპინძლად ხო არ ვარგიხარ,
აღარც რო მიშვებ სადმეო.
დამხვდები ჩაღამებული
მე, მოწყვეტილსა სამზეოს,
წამიყვან პაპის პაპასთან,
რო ვეამბორო მხარზეო,
სისხლი მოვწმინდო მკერდზედა,
ხელი შევავლო ფარზეო,
არცა რა მედარდებოდეს,
დამდგარსა სწორსა კვალზეო.

...მგონი, გაჯობე, სიკვდილო,
ავს არ ამბობენ მკვდარზეო...

### საუბარი გულთან

თეთრი აპრილის სუნთქვა მაწვალებს
და ცეცხლად მიქცევს ჭაბუკ იმედებს.
გულო, რა მოხდა, ცოტა მაცალე,
გულო, რა მოხდა, ნუ გამიმეტებ.
ჯერ შემოდგომის ქარით ვფითრდები,
ზამთრის ყინვაში როგორ დავსახლდე.
გულო, რა მოხდა, რატომ ფითრდები,
იქნებ არ მოგწონს შენი სასახლე,
იქნებ არ გჯერა ჩემი ოცნების,
აღარ გსურს ჩემთან ერთად იარო?
როგორ გივლიდნენ ძველი მგოსნები,
მითხარ, რო ისე მეც მოგიარო.
მეც გიმეგობრო ისე ერთგულად,
რომ სატირალზეც აღარ გატირო,
ისე მოვიქცე, რომ ჩემთან ყოფნა
და სიყვარული არ ითაკილო.
ჯერ მსურს, აგიგო რწმენის ტაძარი,
ხმა მოგაწვდინო ცისკრის ზარების,
მერე დამიგზნე ტრფობის ხანძარი,
ჯანდაბას, ნუღარ დაგენანები.

* * *

რაც უფრო ახლოს მივედი თავთან,
მით შორეული გავხდი თავისთვის.
მატარებელი ჩერდება მგზავრთან.
ჩერდება ერთი მომაკვდავისთვის.
ღამეა მშვიდი,
დაემხო ზეცა,
რაა მანძილი ახლა მიწამდე.
შენ სამოსელი ღვთიური გეცვა,
გეძახდი, მაგრამ არ დამიცადე..

* * *

სული იყურება
ჩემი სხეულიდან,
როგორც ციხის სარკმლიდან
სიკვდილმისჯილი
პა-ტი-მა-რი.

### ვეღარ გავიგე

ვეღარ გავიგე ცხოვრების
უბრალო იწილ-ბიწილო,
ან როდის უნდა ვიტირო,
ან როდის უნდა ვიცინო,
ან როდის უნდა ვიცოცხლო,
ან როდის უნდა წავიდე.
უბრალო იწილ-ბიწილო —
ვერ იქნა, ვეღარ გავიგე.
ვერ იქნა, ვეღარ გავიგე,
თუმც კაი ხანი ვიდროვე
და თავი ჩემი საწყალი
მოვკალ და გამოვიგლოვე.

### განწყობილება

ავდევნებივარ წყეულ სტრიქონებს,
რის მაქნისია სული ულექსოდ.
მე არ მახსოვხარ, გული გიგონებს,
ჩემი ოცნების უერთგულესო.
თითქოს გადაკრთა ზეცის ნაპირი,
მომინდა ყველა ცოდვის გამხელა.
ჩამოსტიროდა წვიმას თავპირი
ღამემ ლექსებად ამოახველა.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**კალათბურთი**



# რიჩარდის გმირობა

**სუპერლიგის VI ტური ორმა ტოპმატჩმა დაამშვენა და ორივე სენსაციურად დასრულდა — ქვეყნის ჩემპიონმა და ვიცე-ჩემპიონმა პირველი შეხვედრები წააგეს.**

განსაკუთრებით დამაფიქრებელია „არმიის“ კრიზისი, რომელმაც ევროჩელენჯზე ჩაფლავებული პირველი წრის შემდეგ, სადაც სამივე ბრძოლაში დამარცხდა და დღეს 18 საათზე სპორტის სასახლეში ისრაელის „ჰოლონ ჰაპოელს“ უმასპინძლებს, საშინაო ფრონტზეც დათმო პოზიციები.

საპირისპირო სურათია შსს აკადემიის ბანაკში, რომლის მესვეურებმაც მეტოქესთან შედარებით გაცილებით კვალიფიციური წინასასეზონო სასელექციო პოლიტიკა აწარმოეს და შედეგიც სახეზეა — XXII ეროვნულ ჩემპიონატში უდანაკარგოდ ჯერჯერობით მხოლოდ ისინი ასპარეზობენ.

დავძენთ, რომ ძალოვანთა დუელის ბედი გეორგიოს კეცელიდისის გუნდის სასარგებლოდ — 80:69 მნიშვნელოვანწილად დეონტა ვონის (21 ქულა, 10 პასი), კირკ არჩიბეკისა (21 ქულა, 13 მოხსნა) და მერაბ ბოქოლიშვილის (11 ქულა) ჩინებულმა თამაშმა გადაწყვიტა.

რაც შეეხება ტურის გმირს, ასეთად ქუთაისელთა ცენტრი რიჩარდ მათიაშვილი მოგვევლინა, რომელიც, რომ იტყვიან, მარტოდმარტო გაუსწორდა „ოლიმპს“ 31 ქულით, 17 მოხსნითა და 6 პასით, თანაც 4(!) სამქულიანი ჩააგდო — 97:81.

**დანარჩენი შედეგები:** „ბათუმი“ — თსუ 61:74, „რუსთავი“ — „სოხუმი“ 87:65, „სამედიცინო“ — „დინამო“ 64:84. ისვენებდა სტუ.

**სატურნირო მდგომარეობა:** შსს აკადემია — 6, „ქუთაისი“, „რუსთავი“ — 5-5, „არმია“, „ოლიმპი“ — 4-4, „დინამო“ — 3, თსუ — 2, „ბათუმი“ — 1, სტუ, „სოხუმი“, „სამედიცინო“ — 0 მოგება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**რაგბი**

# დაგვაფიჯეს



**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მილტონ ჰეიგის ხელმძღვანელობით თბილისში ზედიზედ მეორე ტესტმატჩი წააგო — ამჯერად ფიჯელებმა გვაჯობეს.**

წლეულს „ბორჯღალოსნები“ აშშ-სა და კანადასთან სტუმრად დამარცხდნენ, შინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე იაპონელებთან პაექრობისას პირველ ტაიმში დაწინაურდნენ, მაგრამ თამაშის მიწურულს ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებმა არეკნით გატანილი ბურთის წყალობით 25:22 გაიმარჯვეს.

ფიჯის ნაკრები შესუსტებული შემადგენლობით გვეწვია, თუმცა მატჩი მათი იერიშებით დაიწყო და მალევე 10:0 დაწინაურდნენ. შესვენებამდე ჩვენმა მორაგბეებმა მდგომარეობა გამოასწორეს და ერთი ქულით წინ გასვლაც მოახერხეს — 19:18.

მეორე ტაიმში თამაშის სადავეები სტუმრებმა იგდეს ხელთ და „ბორჯღალოსანთა“ ნახევარზე იმყოფებოდნენ. მართალია, ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ორ ზუსტ ჯარიმას გამორჩნენ, თუმცა წარმატებისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რადგან მასპინძლებმა სტუმრებს ღირებული ვერაფერი დაუპირისპირეს. საბოლოოდ 24:19 გაიმარჯვა ფიჯიმ და ჩვენები კიდევ ერთ ძლიერ გუნდთან პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ. ცხადია, ამ შედეგებიდან სათანადო დასკვნების გამოტანა გვმართებს.

**გივი გაგუა**

**ჭადრაკი**

# თამარის ვერცხლისფერი ელადა



**ორი დიდოსტატი და ერთი საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა საქართველოდან ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელსაც ელადამ უმასპინძლა. შეჯიბრების რეიტინგ ფავორიტი გახლდათ ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი. ქართული ჭადრაკის ლეგენდას წინა წლებში მსგავსი ტურნირი ორჯერ აქვს მოგებული და ახლაც პირველობის კანდიდატად მიიჩნეოდა, მაგრამ ასპარეზობის მეორე ნახევარში ორჯერ წაფორხილებამ მას კვარცხლბეკზე ასვლის შანსი წაართვა — 6,5:6,5 ქულით ქალბატონმა ნონამ და ნინო მელაშვილმა მეშვიდე-მერვე ადგილები გაიყვეს.**

სამაგიეროდ, შესანიშნავად იასპარეზა ვეტერანთა მსოფლიო ჩემპიონატების აქამდე ოთხჯერ (1998, 1999, 2003, 2010 წ.წ.) მომგებმა თამარ ხმიადაშვილმა. ბოლო ტურის წინ მას 7 ქულა ჰქონდა და ყაზახ ელენა ანკუდინოვასთან ერთად პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებდა, უახლოეს მდევრებს კი ნახევარნახევარი ქულით უსწრებდა. ანკუდინოვამ მე-11 ტურში ოლგა ლოპატინასთან (გერმანია) წააგო და საპრიზო სამეულს საერთოდ ჩამოშორდა. ხმიადაშვილი შავი ფიგურებით სვეტლანა მედნიკოვას (რუსეთი) შეუთანხმდა ყაიმზე და 7,5 ქულით ვერცხლის მედალი ერგო. ამდენივე ქულა მოაგროვეს მოქმედმა მსოფლიოს ჩემპიონმა გალინა სტრუტინსკაიამ და ელენა ფატალიბეკოვამ (ორივე — რუსეთი). უკეთესი კოეფიციენტით ტიტული სტრუტინსკაიამ შეინარჩუნა, მესამე ადგილზე ფატალიბეკოვა გავიდა.

**მამაკაცებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა.** 1. იენს კრისტიანსენი (დანია, 9 ქულა), 2. ანატოლი ვაისერი (საფრანგეთი, 8,5), 3. ევგენი სვეშნიკოვი (ლატვია, 8,5).

**ლექსო ცინცაძე**

**ფეხბურთი**

# აქეთურ-იქითური

**XXIII ეროვნული ჩემპიონატის XVI ტურში გაიმართა მატჩი, რომელიც სამართლიანად მოინათლა ნაადრევ ფინალად. მიზეზი ბანალურია — თბილისის „დინამო“ გათამაშების სტარტიდანვე ერთპიროვნული ლიდერია და ამით ყველაფერია ნათქვამი, მიტსმა მეტოქემ გორის „დილამ“ კი უიღბლო დებიუტის შემდეგ ზედიზედ თერთმეტი (!) შეხვედრა მოიგო, მათ შორის I წრეში შინ — უმთავრეს ფავორიტთან და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტთან — 2:0 (სხვათა შორის, ეს იყო შიდაქართლელთა მიერ ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან კლუბთან მოპოვებული პირველი გამარჯვება) და მასთან ჩამორჩენა ორ ქულამდე შეამცირა.**



ამთავითვე უნდა ითქვას: დუშან უჰრინის გუნდმა ყველა კომპონენტში დაჯაბნა სტუმრები და დიდი ნაბიჯი გადადგა მორიგი „ოქროსკენ“ — 3:0 (მერებაშვილი, ტვილდიანი, ხმალაძე). მეტიც: გიორგი დარასელიას შეგირდები ბედის მადლიერნი უნდა იყვნენ, რომ მერებაშვილმა რამდენიმე საგოლე მომენტი გაანიავა, თორემ...

**დანარჩენი შედეგები:** „მერანი — „ტორპედო“ 3:0, „სიონი“ — „ჩიხურა“ 0:3, „ბაია“ — „ვიტ ჯორჯია“ 2:0, „ზესტაფონი“ — „კოლხეთი“ 2:1, „მეტალურგი“ — „ბათუმი“ 2:1.

„დინამო“ — 39, „დილა“ — 34, „ჩიხურა“ — 32, „ტორპედო“, „ბაია“ — 29-29, „ზესტაფონი“ — 28, „მეტალურგი“ — 20, „მერანი“ — 17, „ვიტ ჯორჯია“ — 16, „სიონი“ — 14, „ბათუმი“ — 9, „კოლხეთი“ — 8 ქულა.

* * *

**იტალია.** „მილანი“ — „იუვენტუსი“ 1:0, „პესკარა“ — „რომა“ 0:1, „ტორინო“ — „ფიორენტინა“ 2:2.

**ესპანეთი.** „ლევანტე“ — „ბარსელონა“ 0:4, „ბეტისი“ — „რეალი“ 1:0, „ატლეტიკო“ — „სევილია“ 4:0, „მალაგა“ — „ვალენსია“ 4:0.

**ინგლისი.** „ჩელსი“ — „სიტი“ 0:0, „მანჩესტერი“ — „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ 3:1, „ასტონ ვილა“ — „არსენალი“ 0:0, „ტოტენჰემი“ — „ვესტ ჰემი“ 3:1.

**გერმანია.** „ბაიერნი“ — „ჰანოვერი“ 5:0, „მაინცი“ — „ბორუსია“ 1:2, „შალკე“ — „აინტრახტი“ 1:1.

**საფრანგეთი.** „პარი სენ-ჟერმენი“ — „ტრუა“ 4:0, „მარსელი“ — „ლილი“ 1:0, „რენი“ — „ევიანი“ 0:1.

**ჰოლანდია.** „ეინდჰოვენი“ — „ვიტესი“ 1:2, „ალკმაარი“ — „ფეიენოორდი“ 0:2, „როდა“ — „აიაქსი“ 1:2.

**გიორგი შოთაძე**

**ფიგურული ციგურაობა**

# მეექვსე ადგილით დაკმაყოფილდა

**2013 წლის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის მონდომებით ემზადება კონტინენტის პირველობების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი ელენე გედევანიშვილი.** ნოემბრის დასაწყისში მან სეზონი საერთაშორისო ფედერაციის გრან პრის მეორე ეტაპში ჩაბმით გახსნა. მაშინ კანადაში მოკლე პროგრამით პირველი იყო, მაგრამ თავისუფალში ხელი მოეცარა და საბოლოოდ მე-5 ადგილს დასჯერდა. ოდნავ უარესი შედეგი აჩვენა იაპონიაში გრან პრის ბოლო ეტაპზე: მოკლესა და თავისუფალ ვარჯიშში მე-6 იყო და 156,96 ქულით ცხრა მონაწილეს შორის ქსენია მაკაროვის, სოფია ბირიუკოვას (ორივე — რუსეთი) და ჰარუკა იმაის (იაპონია) გაუსწრო. პირველი ადგილი 185,27 ქულით ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა მაო ასადამ (იაპონია) დაიკავა. მეორე ადგილზეც ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენელი აკიკო სუძუკი გავიდა.



**ლაშა დიდია**

**ადამიანი დროში**

# მძლეთამძლე

**„როცა საქმე მოითხოვს, ორგანიზმს ავალდებულებ, შენს ჭკუაზე მოიქცეს, აღანთებ და სტიმულს აძლევ, რომ დაიქოქოს. აღგზნების ამპლიტუდით განისაზღვრება შენი შესაძლებლობების დონე. რაც უფრო დიდია იგი, მით მეტის გაკეთება შეგიძლია“, — ეს სიტყვები ეკუთვნის სახელოვან ქართველ ფალავანს — რომან რურუას, რომელიც ისე მართავდა საკუთარ სხეულს, რომ ხშირად დროს უსწრებდა. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ საბჭოთა კავშირის ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების კაპიტანმა 10 წლის განმავლობაში ზღაპრულ შედეგებს მიაღწია: 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიადის გამარჯვებულმა და 1964 წლის ტოკიოს თამაშების ვერცხლის პრიზიორმა ოთხჯერ მსოფლიოს ჩემპიონობა (1966, 1967, 1969, 1970) მოიპოვა, სამ-სამჯერ საკავშირო ჩემპიონატები და საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადები მოიგო, დიდ სპორტთან განშორების შემდეგ საქართველოს „კლასიკოსთა“ ნაკრების მთავარი მწვრთნელი საკავშირო ნაკრების ერთ-ერთი დამრიგებელიც გახლდათ. სპორტის დამსახურებული ოსტატის კოლექციას სამთავრობო ჯილდოებიც ამშვენებს. საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი ამჟამად სპორტნაწარმის ფაბრიკას ხელმძღვანელობს.**

სახელოვანი ფალავნის სპორტული ბიოგრაფია ფეხბურთით დაიწყო — მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში მდინარე აბაშის ნაპირას თანატოლებთან ერთად ჭინჭებით გატენილ რეზინის ბურთს დასდევდა. დიდი სპორტის სიყვარულმა 13 წლის ბიჭი თბილისში ჩამოიყვანა და გრიშა გაგუასთან „ნორჩ დინამოელში“ მოხვდა. ვინ იცის, მისი კარიერა როგორ წარიმართებოდა, ერთი შემთხვევა რომ არა: ბათუმელმა მეგობარმა ილია ტუღუშმა ჭიდაობის სამყაროსთვის ცნობილ „პეტრეს დარბაზში“ წაიყვანა, სადაც მაშინდელ „კლასიკოსთა“ ვარჯიშს დაესწრო. მწვრთნელმა ნერსეს აკოფოვმა იგი თავის შეგირდებს დააჭიდა. ის დღე იყო და რომან რურუას ფეხბურთისკენ აღარც გაუხედავს.

1961 წელს 19 წლისამ ქუთაისში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მე-5 ადგილი დაიკავა, იმავე წელს საკავშირო გუნდურ პირველობაზე, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა, ყველას აჯობა. ოლიმპიური ჩემპიონი ოლეგ კარავაევი დაექადნა — ჩვენ კიდევ შევხვდებითო.

— 1963 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზეც დავუპირისპირდით ერთმანეთს. მაშინაც ვაჯობე. ფინალში იური გრიგორიევი დავამარცხე და ოქროს მედალი მოვიპოვე“, — იგონებს რომან რურუა.

იმ შეჯიბრებას ესწრებოდა მილან ერცეგანი, რომელიც მერე დიდხანს ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციას ედგა სათავეში. მას უთქვამს: „ვირუპაევის, სტაშკევიჩის და კარავაევის გვერდით გამოჩნდა კიდევ ერთი დიდი პოტენციის მქონე ახალგაზრდა ოსტატი, რომლის შესახებ მალე გაიგებს მთელი სამყარო.

და არა მარტო გაიგეს, არამედ მსოფლიო ვარსკვლავებმა ხალიჩაზე გამოსცადეს მისი უშრეტი ძალა და ენერგია. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ნამდვილად რომ გაინავარდა (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) რომან რურუამ: ზედიზედ ექვსი მეტოქე დაამარცხა და ისე ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, რომ მოწინააღმდეგეებს 82 ქულა (!) აართვა, თავად კი ერთიც არ დაუკარგავს. ვგონებ, მსოფლიოში მსგავსი რამ არავის გაუკეთებია. ცხოვრებაში ერთხელ ვერ მოიგო ფინალური ორთაბრძოლა, უფრო სწორად, დაათმობინეს, თუმცა არც მაშინ დამარცხებულა.



— მსაჯების უსამართლობას რა ვუთხარი, თორემ ტოკიოს ოლიმპიური თამაშებიდანაც ოქროს მედალი უნდა ჩამომეტანა. სტარტზე რომის ოლიმპიადის გამარჯვებული თურქი მუზახირ სილე ჩამოვიშორე გზიდან — ორჯერ დავაწვინე სუფთაზე. სხვა მეტოქეებსაც იგივე ბედი ეწიათ. გადამწყვეტ პაექრობაში სამგზის მსოფლიო ჩემპიონ იმრე პოიაკს შევხვდი. უნგრელი მანამდე სამჯერ გასულა ოლიმპიური თამაშების ფინალში და მხოლოდ ვერცხლის მედლები მოუპოვებია. ტოკიოში მისი მეოთხე ცდა იყო. ნაკლები საჯარიმო ქულები ჰქონდა და ჩემპიონობისთვის ფრეც ხელს აძლევდა. მსაჯების დახმარებით მიზანს მიაღწია. მოგვიანებით ლოზანაში ვნახე იმ ჭიდაობის ჩანაწერი. ყველამ აღიარა, რომ 3:0 მოვიგე, მაგრამ შედეგს ვინ შეცვლიდა. გული მაინც არ მწყდება. პოიაკზე ალალი იყო ოქროს მედალი. უნგრელმა მეგობრებმა ამ სახელოვანი ფალავნის დაკრძალვაზე მიმიწვიეს. საკათედრო ტაძრის ეზოში დაასაფლავეს ლასლო პაპისა და ფერენც პუშკაშის გვერდით.

რომან რურუამ ბოლო დიდ წარმატებას 1971 წლის ხალხთა სპარტაკიადაზე მიაღწია. იმ წელიწადს მიუნხენის ოლიმპიური თამაშებისთვის მინსკში ემზადებოდა, მაგრამ ხერხემლის გაუსაძლისი ტკივილით მოსკოვის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში აღმოჩნდა. სწორედ იქ მიაკითხეს ქართველ ფალავანს და უთხრეს — რესპუბლიკის ხელმძღვანელთა თხოვნაა, სპარტაკიადაზე უნდა იჭიდაოო. სპორტსმენისა და ექიმის უარმა ვერ გაჭრა. სხვა რა გზა იყო: ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩვეული შემართებით იჭიდავა, შვიდი მეტოქე დაამარცხა და მესამედ გაიმარჯვა სპარტაკიადაზე. შეჯიბრების შემდეგ ტკივილებისგან წელში მოხრილი ისევ საავადმყოფოში დააბრუნეს. კარგა ხანს იმკურნალა, მაგრამ რომ შეატყო, რომ ჩვეული შემართებით ვერ იფალავნებდა, დიდი სპორტიდან წასვლა გადაწყვიტა. თქვა და წავიდა. სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, რადგან რომან რურუას სიტყვა და საქმე ყოველთვის ერთია.

სახელოვან ფალავანს გასულ კვირას 70 წელი შეუსრულდა, თუმცა კაცი, რომელიც ყოველთვის დროს უსწრებდა, დღესაც ცხოვრების ავანგარდშია და საერთო საქმეს ჭაბუკური ენერგიით ემსახურება.

იუბილეს გილოცავთ, ბატონო რომან!

**ვაჟა დანელია**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**შაბათ-კვირის ჩანაწერები**

# „გავათხოვე, გავატანე, ჩემი „ვეფხისტყაოსანი“

**ჩემი კალიგრაფიის პატრონი, რა გასაკვირია, შევნატრი იმ ხალხს, რომელთაც ულამაზესად, სასოებით გამოჰყავთ ქათქათა ფურცელზე დალოცვილი ქართული ანბანი, ეფერებიან და ეალერსებიან ჩვენს 33 სასწაულ ასო-ნიშანს... ვიცნობ ასეთებს, მაგრამ, რაც მე გუშინწინ, შემთხვევით, ნაწერი ვნახე, სწორედაც რომ უდიდესი სიამოვნება მომგვარა — „ვეფხისტყაოსანი“ — ჩვენი სიამაყე, ჩვენი წიგნთა-წიგნი გადაუწერია ბატონ სულიკო გიორგაძეს, დაუქარგავს ყოველი ასო-ბგერა, სული და გული, სიყვარული და თაყვანისცემა ჩაუტნევია ყველა მათგანში და ასე მოურთმევია ქართული საზოგადოებისთვის, ქართველი ახალგაზრდებისთვის სამზითვოდ რუსთაველის გენიის გამონაშუქი.**

ამ შემთხვევაში, ლიტერატურის სიყვარულთან ერთად, რა თქმა უნდა, მხატვრობის ნიჭიც აუცილებელი იყო (აბა, ასო-ნიშანთა „მიქარგვ-მოქარგვას“ როგორ შესძლებდა). უნდა ითქვას, რომ მხატვრობის სიყვარული თავიდანვე არ აკლდა, წერდა ლექსებს, ჟურნალისტის პროფესიაც იტა-




დასაწყისი

ცებდა, თუმცა, ცხოვრებამ მოიტანა და, გახდა ეკონომისტი, რაც, ცხადია, ხელს არ უშლიდა, რომ მშობლიური მწერლობისთვისაც ეცა თაყვანი.

ამ ბოლო დროს კი ერთი იდეა გაუჩნდა სულიკო გიორგაძეს — ეცადა „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერა, იცოცხლეთ კალიგრაფია შესაშური ჰქონდა და ისიც — მეგობრების — რამაზ სულამანიძის, ტარიელ ხავთასის, ირაკლი თევდორაშვილის არჩილ ორაგველიძის წაქეზებით, ნელ-ნელა შეუდგა ჩანაფიქრის ხორცშესხმას.

9 თვე მოანდომა ამ საქმეს ბატონმა სულიკომ, 1669 სტრიქონი და 277 გვერდი გადაწერა, ორმოცზე მეტი პასტა დახარჯა, 30-40 გვერდის ხელახლა გადაწერა მოუწია.

თუმცა, როგორც თვითონ ამბობს, ეს შრომა რა მოსატანია იმ იდეასთან, რაც ყოველგვარ დაღლილობას აქარვებდა — გამოცემის შემთხვევაში ხელნაწერი ჩვენი „ვეფხისტყაოსნისა“, საჩუქრად გადაეცემა ეკლესიებს და ქორწინების სახლებს, რათა აღდგეს ძველი ტრადიცია — ახალდაქორწინებულთათვის „ვეფხისტყაოსნის“ მზითვად გატანება.

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები XVII საუკუნიდან არსებობს, რომელთაგან ჩვენამდე მოღწეულია 162 ხელნაწერი და 32 ფრაგმენტი.

XXI საუკუნის მეორე ათწლეულში გადავედით და, ჩვენდა სასიხარულოდ, უკვე შეიქმნა ხელნაწერი შოთას პოემისა, ბატონმა სულიკო გიორგაძემ ფასდაუდებელი საქმე გაასრულა — შთამომავლობა თავს მოიწონებს არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ყოველი უკვდავი სტრიქონით, არამედ იმითაც, საუკუნეების განმავლობაში, თუ როგორ ეფერებოდნენ ამ სტრიქონებს ქართველები — მარჯვენადალოცვილი გადამწერნი, და, რომ მთელი მადლი სწორედაც ამ სტრიქონების ამ ასო-ნიშნების ფერება-სიყვარულშია, და არა, როგორც ბატონი კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა „გუტენბერგის გენიალური მოგონების“ მაღალეფექტურობაში, უმალ რომ ჩამობეჭდავს მთელ „ვეფხისტყაოსანს“.

ჭეშმარიტად ბედნიერი, ვალმოხდილი კაცის ბატონ სულიკო გიორგაძის გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, ჯერჯერობით, სულ რამდენიმე ათეული ცალი გამოვიდა. ილუსტრაციების ავტორები არიან მიხაი ზიჩი, სერგო ქობულაძე და ირაკლი თოიძე, დავით აღმაშენებლის და ტარიელის ნახატები სუპერის ყდაზე ეკუთვნის მხატვარ ალექსანდრე ციხელაშვილს, თამარ მეფის ნახატის ავტორია მხატვარი ინნა დივნოგორცევა-გრიგოლია.

— აბა, მე სად მქონდა, თუნდაც რამდენიმე ათეული ცალის გამოცემის თავი — ამბობს სულიკო გიორგაძე, — მაგრამ, ღვთის ნებით, კეთილ ადამიანებს რა დალევს საქართველოში და, ჩემი გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემად, გამომცემლობა „პოლიგრაფისტში“ თანხა ჩარიცხეს ბატონებმა შალვა ჯალაღანიამ, სერგო მწითურიძემ, გია გეთიაშვილმა, დავით ქორიძემ, ოთარ გოგავამ, ლევან კალანდაძემ... მადლობის მეტი რა მეთქმოდა ამ ადამიანების მიმართ... ჩემი მადლიერება მხოლოდღა იმით გამოვხატე, რომ, გავიხსენე პოეტობა და ერთ-ერთის ქალიშვილს ასეთი წარწერით ვუსახსოვრე „ვეფხისტყაოსანი“:

**„ნება უფლისა სადედოფლოდ როცა შეგმოსავს,**
**მზითვად წაიღებ უნიკალურ „ვეფხისტყაოსანს!“**

იმედი მაქვს, რომ გამოჩნდება მეცენატი, რომელმაც იცის „ვეფხისტყაოსნის“ ფასი და დიდი ტირაჟით მოჰფენს მას მთელ საქართველოს.

* * *

ჩვენც გვაქვს ამის იმედი, რადგან ეს იქნება უნიკალური, განსაკუთრებული გამოცემა, რომელიც სწორედაც უნდა გავატანოთ მზითევში ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს.

**სურათზე: სულიკო გიორგაძე და მის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი გვერდი.**

# „მიეთოვოს, მოეთოვოს კედლებს ფარშავანგები!..“

**სრულიად ორიგინალური გამოფენა გაიხსნა „ვერნისაჟში“. ორიგინალური — თემით, და, რაც მთავარია, შესრულების მანერით. თემა გალაკტიონია, — დიდხანს ვფიქრობდიო, ძალიან ვშიშობდიო, მეუბნება გამოფენის ავტორი, გამორჩეული ფერმწერი რეზო (ემელიანე) ადამია, რომელსაც, დიახაც, დაუძლევია შიში და გასაოცარი ფერადოვნებით აუმეტყველებია ნახატში „პოეტების მეფე“.**

120 ნამუშევარია გამოფენილი საგამოფენო დარბაზში. აქ დატკბებით ჭყვიშის პეიზაჟებით, ცალკეული ლექსის ფერში ამეტყველებით, აბსტრაქციაში გადაყვანილი პოეზიის სიმბოლოებითა და მინიშნებებით, გალაკტიონის თემის პარიზული ჩანახატებით (რეზო ადამია ხომ ხშირად არის პარიზის სტუმარი და იქ შესრულებულ მრავალ ნამუშევარს კარგად იცნობს ქართველი სახვითი ხელოვნების მოყვარული)... შიში დაუძლევია-მეთქი. დაუძლევია კი არა, გალაკტიონის გენიას რომ ეკადრება, ისეთი შთაგონებითა და აღმაფრენით შეუსრულებია ნამუშევრები მხატვარს და, შეიძლება ითქვას, რომ ბატონი რეზო გამარჯვებით მიაცილებს (რაღა დარჩა) 2012 წელს.

# სადა ხარ, შალიკო — ჩოჩელი გადადგა!..

**გადადგა ძმაო, თავისით გადადგა! შენა, კიდენა, საიდან არ მიუდექი, რა ენერგია არ შეალიე მის ლანძღვა-გინებას! ამბობენ, ცოტა კარგადაც ვერ არიო, ბიზნესში გააგრძელებს საქმიანობასო... ღმერთმა კარგად ამყოფოს და, ბიზნესს არ უნდა ნეტა ჯან-ღონე?! მოკლედ, ეგრეა, ჩოჩელმა შენი თავი გაგვახსენა, ნათელაშვილო!**

გვეგონა, მდიდრებისთვის ქონების წართმევას და ღარიბებისთვის მიცემას სწორედ ჩოჩელით დაიწყებდი, ჩვენო არსენასავით სიმართლის მოყვარულო, მშრომელთა ქომაგო! სადა ხარ, რასა იქმ, შენი კოლორიტი, შენი მეტაფორები, შენი შედარებები ნაღდად აკლია დღევანდელ ოპოზიციას, ჯიგარო! ანდა, შენი განჭვრეტა!.. აი, ხომ მართლა გამოდგა ივანიშვილი რუსეთის კაცი?.. გაიყვეს თუ არა ხელისუფლება სააკაშვილმა და ივანიშვილმა?!.. მოგვენატრა, კაცო, შენი დაუცხრომელი, მარილიანი ქოთქოთი!.. გამო რა, გაახსენე ხალხს თავი, შენ არჩევნების წაგება გიკვირს?!. ზოგი აგებს, ზოგი იგებს, რას იზამ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

**სულთათანა**

# გივი გამსახურდია

გამოჩენილი ფინანსისტ-ეკონომისტი, პროფესორი **გივი გამსახურდია** ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს მუხლჩაუხრელად ემსახურა ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებას და ეკონომისტ -სპეციალისტთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

სამაგალითო პიროვნება, ყურადღებიანი, თავმდაბალი, გულისხმიერებით გამორჩეული მოქალაქე, ფართო დიაპაზონის მეცნიერი და ტკბილმოუბარი ლექტორი, უანგარობით, პატიოსნებით აღსავსე კოლეგა და ჭეშმარიტი საზოგადო მოღვაწე — ასეთად დაამახსოვრდა ბატონი გივი ყველას, ვისაც მასთან ურთიერთობის პატივი ხვდომია წილად.

გივი გამსახურდია დაიბადა 1937 წლის 6 ივლისს თბილისში, ცნობილი მეცნიერის გრიგოლ გამსახურდიას ოჯახში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი დატოვეს ფინანსებისა და კრედიტის კათედრაზე და ამ კათედრაზე დაჰყო თითქმის ხუთი ათეული წელი როგორც დოცენტმა, პროფესორმა და კათედრის გამგემ.

გარდა საუნივერსიტეტო საქმიანობისა, ბატონმა გივიმ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი საქმიანობის დიდი გზა განვლო. იყო ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორი, აბაშის რაიკომის მდივანი, საქართველოს სახალხო კონტროლის თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

უკანასკნელ წლებში გივი გამსახურდიამ თავისი პედაგოგიურ-სამეცნიერო საქმიანობა სამუდამოდ დაუკავშირა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. გახლდათ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის სრული პროფესორი; ჩვეული სიბრძნითა და დიდი პედაგოგიური ტაქტით ხელმძღვანელობდა არაერთ ბაკალავრს, მაგისტრანტსა და დოქტორანტს.



პროფესორი გივი გამსახურდია საფინანსო-ეკონომიკური მეცნიერების უაღრესად ავტორიტეტული სპეციალისტი, 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის, არაერთი მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოს ავტორი, ჩვეული გულისმხიერებით უკვალავდა გზას უმრწემეს სპეციალისტებს.

წავიდა ბატონი გივი. ვერ გაუძლო მისმა გულმა ამ ორიოდე წლის წინათ თავსდატეხილ უბედურებას — ულამაზესი ვაჟკაცის, მამის იმედის — კახა გამსახურდიას მოულოდნელ გარდაცვალებას.

წავიდა და დატოვა დიდი სააქაო სახელი მამულისათვის დამაშვრალი სახელოვანი ქართველი კაცისა.

მსუბუქი იყოს მისთვის თავისი ქვეყნის მიწა.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

**რევაზ მიშველაძე, იგორ კვესელავა ოჯახებით იუწყებიან მეგობრის, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის**

**გივი გამსახურდიას**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.**

**ხელოვნება**

# ბენო მუსერიძე

საქართველოს ენერგომშენებლებმა დიდი დანაკლისი განიცადეს — შეწყდა საქენერგოს დამსახურებული მუშაკის, საქართველოს დამსახურებული ინჟინრის **ბენო მუსერიძის** სიცოცხლე.

საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. სამშენებლო ფაკულტეტის წითელ დიპლომზე დასრულების შემდეგ გაანაწილეს ზაჰესში მშენებარე ქარხანაში სამუშაოთა მწარმოებლად.



ბატონი ბენო სხვადასხვა დროს მუშაობდა სამშენებლო სამმართველოში ტექნიკური განყოფილების გამგედ, ამავე სამმართველოში უფროსად, საქენერგოს სამშენებლო-სარემონტო ტრესტის მთავარ ინჟინრად.

ბენო მუსერიძე სიცოცხლის ბოლომდე სააქციო საზოგადოება „ენერგომშენის“ მთავარი ინჟინერი გახლდათ, სადაც მრავალრიცხოვანი კოლექტივის დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ეს უკეთილშობილესი, მოსიყვარულე ადამიანი ყველასთან პოულობდა საერთო ენას, გვერდში ედგა თანამშრომლებსა და მეგობრებს ლხინსა თუ ჭირში.

ბენო მუსერიძის ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა განვლოს ცხოვრება ჭეშმარიტმა მამულიშვილმა, მრავალი თაობის ღირსეულმა აღმზრდელმა.

მუსერიძეების გვარის ღირსეულმა წარმომადგენელმა ამ ქვეყნად მხოლოდ სიკეთე თესა. მადლობა ყოველივე ამისთვის, რაოდენ დასანანია, რომ ამიერიდან ბატონ ბენოს მხოლოდ წარსულ დროში გავიხსენებთ, ბევრჯერ მოგვენატრება მისი გამორჩეული სიტყვა-პასუხი, ულალატობა, კეთილი ღიმილი.

ბატონი ბენო შესანიშნავი, სამაგალითო მამა და ბაბუა გახლდათ. სიყვარულის ნახევარი საუკუნე გაატარა უერთგულეს მეუღლესთან, ქალბატონ ირასთან ერთად.

წუთისოფელს გაშორდა ღირსეული პიროვნება, რომელიც ძალიან დააკლდება ქვეყანას. მან სანუგეშოდ იმის იმედიღა დაგვიტოვა, რომ კარგი ადამიანი სიკვდილთან ერთად არ კვდება, ის სიცოცხლეს ცოცხლებში აგრძელებს.

მადლობის გრძნობით ვაცილებთ ჩვენი საზოგადოების დამსახურებულ, ღირსეულ წევრს, კოლეგას, ერთგულ მეგობარს.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული სასუფეველში.

**ენერგომშენის კოლექტივის სახელით**

**თამაზ გამცემლიძე**

**რეკლამა**

**„საქართველოს რესპუბლიკაში“**

**299-62-77;**

**599 32-85-76.**

**გ. ახვლედიანის ქ. №19.**

**კირა მიქელაძე, მერაბ ბერძენიშვილი დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი უახლოესი მეგობარი**

**ლია გუდაძე-კეკელიძისა**

**გიორგი დუნდუა ოჯახით თანაუგრძნობს ნაზი გვაზავა-ქორჩილავასა და კარლო გვაზავას ოჯახებს დისშვილის**

**მალხაზ ჩაჩავას**

**გარდაცვალების გამო.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ სულიერება

# 28 ნოემბერი – ქრისტესშობის მარხვის დასაწყისი წმიდა მოციქული, მახარებელი ფილიპე



**27 ნოემბერს, სწორედ შობის მარხვის დაწყების წინა დღეს, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს მოციქულ ფილიპეს.**

**ფილიპე მახარებელი დიდად განსწავლული იყო წმინდა წერილში, მას სწორად ესმოდა ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა და წინასწარმეტყველებათა არსი და მესიის მოლოდინით ცხოვრობდა.**

...მოციქული ფილიპე პირველი მოწოდებისთანავე გაჰყვა მაცხოვარს.

იესო ქრისტეს ამაღლების შემდეგ ის გალილეაში ქადაგებდა ღვთის სიტყვას. მის სწავლებას სასწაულები ახლდა თან.

ქრისტესშობის მარხვის შესახებ ცნობები IV საუკუნიდან მომდინარეობს. საინტერესო ცნობებია დაცული X საუკუნის კრების საეკლესიო ოქმებში.

სრულიად კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს: **„უფლის რწმენა არის თავისუფალი, ჭეშმარიტად ნათელი, საოცარი აქტი, მსგავსი ხელახალი დაბადებისა, ამიტომ უფალი ნამდვილად უნდა მივიღოთ“.**

**გიული ლიპარტია**

◉ სნეულების ანატომია

# „პატარა“ პრობლემა

**ჰიპერაქტიური შარდის ბუშტი – ესაა დაავადება, რომლის დიაგნოზს ექიმები მაშინ სვამენ, როცა კაცი საპირფარეშოში დღე-ღამეში რვაზე მეტჯერ გადის.**

მედიკოსების აზრით, მთავარია ამ ჰიპერაქტივობის მიზეზის დადგენა, ამიტომ პირველ რიგში საჭიროა შარდის საერთო ანალიზის გაკეთება და შარდსადენ გზებზე ინფექციის არსებობის გასარკვევად მისი დათესვა. საშარდე ბუშტის ექოსკოპია კი ქირურგიული პრობლემების არსებობის გამორიცხვის საშუალებაა. ამასთან, ამ მეთოდით ასევე დგინდება შარდის ის რაოდენობა, რომელიც მისი გამოშვების შემდეგ ბუშტში რჩება.

ამ დროს ქალებმა გამოკვლევა გინეკოლოგთან უნდა გაიარონ, მამაკაცებმა კი უროლოგს უნდა მიაკითხონ პროსტატის ჯირკვლის დაავადებათა საკითხის გასარკვევად. ყველაფერთან ერთად საჭიროა ნევროლოგიურ დაავადებათა მარკერების – საერთო რეფლექსების ნევროლოგთან შემოწმება. ბოლოს კი, საერთო სურათის სრულად წარმოსაჩენად, რამდენიმე დღის განმავლობაში საჭიროა შარდვის დღიურის წარმოება, რომელშიც აღინუსხება გამოშვებული სითხის ოდენობა და სიხშირე. ამ დღიურს შეუძლია უროდინამიკური გამოკვლევის შეცვლა: სპეციალური აპარატურა საშარდე ბუშტის ყველა შეკუმშვას აფიქსირებს, რომლებიც, არსებითად, საპირფარეშოში შესვლას გვაიძულებენ. მას მაშინ ნიშნავენ, როცა ეჭვი აქვთ უროლოგიური პრობლემების არსებობაზე. ხოლო თუკი დიაგნოზი „ჰიპერაქტიური შარდის ბუშტი“ ეჭვს არ იწვევს, მაშინ ექიმმა პაციენტის დღიური უნდა შეისწავლოს.

შარდის ბუშტის ჰიპერაქტიურობის შესამცირებლად ღონისძიებათა კომპლექსს მიმართავენ.

**1. კვების რაციონის შეცვლა.** კვების ზოგიერთი პროდუქტი შარდის ბუშტის კედლების გაღიზიანებას და, შესაბამისად, მის სტიმულირებას იწვევს. ასეთებია, უწინარესად, კოფეინის შემცველი პროდუქტები და ცხარე საკვები, საზამთრო, ნესვი, კიტრი, მინერალური წყალი, ალკოჰოლი, რომლებზეც მკურნალობის დროს უმჯობესია უარი თქვათ.



**2. წამლებზე კონტროლი.** არსებობს შარდმდენი პრეპარატები, მაგალითად ჰიპერტენზიის, დიაბეტის საწინააღმდეგო. მათი მიღება უნდა მოწესრიგდეს და, რაც მთავარია, მკურნალობის დაწყებამდე ამის შესახებ მკურნალ ექიმს უნდა აცნობოთ.

**3. ვარჯიში.** მათ, ვისაც ჰიპერაქტიურ შარდის ბუშტს უჩივის, ქცევის თავისებური მექანიზმი გამოუმუშავდებათ. უცხო ადგილებში მოხვედრილი ასეთი კაცი პირველ ყოვლისა საპირფარეშოს ადგილსამყოფელს ადგენს. იგი ხშირად ტუალეტში წინასწარვე მიდის ხოლმე და ყოველ ხელსაყრელ მომენტს იყენებს შარდის ბუშტის დასაცლელად, თუმცა კი ის ბოლომდე შევსებული არ არის.

სინამდვილეში კი **საჭიროა ცოტა ხნის მოთმინება საიმისოდ, რომ შარდის ბუშტი შარდის უფრო დიდი ოდენობით დაგროვებას მიაჩვიოთ და ამ გზით გაზარდოთ შუალედი საპირფარეშოში ვიზიტებს შორის.** ამაში თქვენ დახმარებას თეძოების ფსკერის გასამაგრებელი საგანგებო ვარჯიშები გაგიწევენ.

პროცესის თვალსაჩინოებისთვის უფრო მოხერხებულია საპირფარეშოში შესვლის გრაფიკის შედგენა, რომლის დაცვა უნდა სცადოთ, ხოლო დაუგეგმავი „მოთხოვნები“ საგანგებოდ უნდა აღნიშნოთ.

**4. წამლების თერაპია.** ჰიპერაქტიური შარდის ბუშტის მკურნალობისას ექიმი აუცილებლად დაგინიშნავთ ანტიქოლინერგულ პრეპარატებს, რომლებსაც ხშირად მომყოლი – სპაზმოლითური თვისებები აქვთ. ასეთი პრეპარატები შიდა ორგანოთა, მათ შორის შარდის ბუშტის კუნთების სპაზმების მოხსნაში დაგეხმარებიან.

**5. ნეირომოდულაცია.** ეს მეთოდი სუსტი ელექტროდენით შარდის ბუშტის ნერვულ ბოჭკოთა სტიმულირებაზეა დაფუძნებული. ამის შედეგად შარდის ბუშტის შეკუმშვის აქტივობა სუსტდება.

**ნინო ალექსანდრია**

◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან

– იუსტიციის სამინისტროს, მთავარი პროკურატურის, პარლამენტისა და პრემიერ-მინისტრის გასაგონად ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით – ახალგორისა და კოდორის ხეობის დაკარგვის მთავარი შემოქმედი არის ვანო მერაბიშვილი და ამას სასამართლოში დავამტკიცებ... უზრუნველვყოფ იმას, რომ ამ საქმეზე აუცილებლად დაიწყოს გამოძიება. მხედველობაში მაქვს ახალგორის ადმინისტრაციის შექმნა და სანაკოევის „გაპრეზიდენტება“. ეს არის სახელმწიფო დანაშული, ეს არის დარტყმა, რომელიც გულში და ღვიძლში მიაყენა საქართველოს მერაბიშვილმა.

**„ასავალ-დასავალი“**

### პრეზიდენტის რეზიდენციაში ყინავს, სასახლის ბინადრები კი დიეტურ საკვებზე გადავიდნენ

მოვუსმინოთ შეწყალების კომისიის წევრს, მწერალ ლაშა ბუღაძეს:

– ამ რამდენიმე დღის წინათ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში გახლდით პატიმართა შეწყალების კომისიის სხდომაზე. რაკი წინა სხდომებიც აქ ტარდებოდა, ჩვეულებრივ თხლად შევიმოსე, რადგან ტრავმულად მახსოვდა, როგორ დამცხა უკანასკნელ თათბირზე, თუმცა ამჯერად მწარედ შევცდი – რეზიდენციაში ყინავდა, რადიატორები უდაბლეს ნიშნულამდე დაეწიათ, ხოლო სასადილოში ჭეშმარიტად ეგზისტენციალური ოთხმოცდაათიანი წლები დაგვხვდა. მხოლოდ წყალი, წიწიბურა, ლობიო და ურძეო და უკარაქო ნამცხვარი „სიგუა“. თვით მშვენიერი მანანა მანჯგალაძეც კი პლედმოსხმული შეექცეოდა „ტყუილ სუპს“.

**„ახალი თაობა“**

### შსს-ს დაშლის ნაცვლად ფუნქციებს უზრდიან

შსს კიდევ უფრო ძლიერდება. მას შემდეგ, რაც კუდ-ისა და სოდ-ის გაუქმების ნაცვლად მათ მხოლოდ სახელი გადაერქვათ, შსს-ს ახალი კომპეტენცია დაემატა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებასთან დაკავშირებით ჩადენილ დანაშაულებს პროკურატურის ნაცვლად შსს გამოიძიებს. გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, თუმცა ყოველგვარი განმარტების გარეშე.

**„რეზონანსი“**

### რას აღიარებს „მასტერა“ ფარულ ჩანაწერებში...

შესაძლოა, საზოგადოების ყურადღება მალე კიდევ ერთმა გახმაურებულმა საქმემ მიიპყროს, რომელიც ციხის ბუნტის სახელით არის ცნობილი. ოფიციალური ინფორმაციით, ბუნტის ჩახშობისას დაიღუპა 7 პატიმარი, თუმცა უფლებადამცველი ორგანიზაციების მტკიცებით, მსხვერპლი გაცილებით დიდი იყო...

კუდ-ის მაშინდელი მაღალჩინოსანი „მასტერა“ ასახელებს თანამდებობების პირებს, ლაპარაკობს მათ მონაწილეობაზე ამა თუ იმ დანაშაულში. ციხის ბუნტის გარდა, ჩანაწერებში ლაპარაკია დათა ახალაიაზეც, გირგვლიანის მკვლელობაზეც, პროფესორ დავით ანდრიაძეზეც, რომელიც დღემდე მუშაობს პროკურატურაში.

**„კვირის პალიტრა“**

### რეალურად როდის დაიწევს ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფი?

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ილია ელოშვილის განცხადებით, რომელიც 25 ნოემბერს გავრცელდა, დენის ტარიფი 4 თეთრით შემცირდება.

– რაც შეეხება გაზის ტარიფს, მაგისტრალებში უნდა ვეძებოთ შემცირების პოტენციალი. ჯერჯერობით, ნავთობისა და გაზის კორპორაციის ხელმძღვანელების შეცვლა არ მომხდარა და ველოდებით ჩვენი წარმომადგენლების იქ მისვლას, – ამბობს ელოშვილი.

**„ქრონიკა“**

◉ ანეკდოტები

**– იმიტომ აპირებ ჩემზე დაქორწინებას, რომ ბიძაჩემისგან მემკვიდრეობა მივიღე?**

**– რა თქმა უნდა, არა. ეს, უბრალოდ, სასაცილოა. მე შენზე უთუოდ დავქორწინდებოდი იმის მიუხედავად, თუ ვისგან მიიღებდი მემკვიდრეობას.**

* * *

**– საყვარელო, დღეს ჩვენი საიუბილეო თარიღია – დაქორწინებიდან 25 წლისთავი, – ეუბნება ცოლი ქმარს.**

**– ღმერთო ჩემო, დროზე რომ მომეხრჩვე, ახლა ციხიდან გამოსული ვიქნებოდი!**



**ტიპმა დეპეშა მიიღო, სიდედრი გარდაგეცვალაო. თანაც, როგორ მოვიქცეთო, ეკითხებოდნენ – დავმარხოთ, დავწვათ თუ დავაბალზამოთო.**

**– ყველაფერი ერთად გააკეთეთ, მთავარია, არ გარისკოთ, – მყისიერად უპასუხა ტიპმა.**

* * *

**– ფუ, რა საშინელი სიმყრალეა თქვენთან!**

**– თქვენს შემოსვლამდე არ ყარდა!**

**– რაო, ასე შეგაშინათ ჩემმა შემოსვლამ?!**

* * *

**კარგი ადამიანი უამრავია. ბევრად მეტი, ვიდრე ცოცხალი.**

◉ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაშვილი 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com